ზოგადსაგანმანათლებლო
დაწესებულების საჭიროებების
კვლევა

განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისა და შედეგების გაუმჯობესებლად

ავტორები: სსიპ ქუთაისის #14 საჯარო სკოლის
მასწავლებლები: ლელა გაბისონია,
აზა მარუაშვილი

2018-2019 სასწავლო წელი

ლელა გაბისონიას ანგარიში

სარჩევი

I თავი. საკვლევი მასალის მიმოხილვა 3
1.1. მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ 4
1.2. პრობლემის იდენტიფიცირება 5
1.3. საკვლევი მასალის აქტუალობა 6
1.4. კვლევის მიზანი 11
1.5. კვლევის სტრუქტურა 12
1.6. ძირითადი დასკვნები 13
II თავი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების კვლევის არსი 14
III თავი. ლიტერატურა 15
3.1. ლიტერატურის მიმოხილვა
IV თავი. კვლევის დიზაინი 21
4.1. საკვლევი საკითხის კითხვარი
4.2. კვლევის სამიზნე ჯგუფები 21
4.3. კვლევის მეთოდები 21
4.4. კვლევის ვადები 22
Vთავი. კვლევის შედეგები
5.1. მონაცემების ანალიზი 23
5.2. ძირითადი მიგნებები 44
5.3. ინტერვენციები 45
VI თავი. ინტერვენციების შეფასება
6.1. ინტერვენციების შეფასების მეთოდები და აღწერა 45
6.2. ინტერვენციების შეფასება 46
VII თავი. რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები
7.1. რეკომენდაციები 51
7.2. კვლევის ნაკლოვანებები 51
VIII თავი. დასკვნა 52
ბიბლიოგრაფია 53
დანართი 54
რეფლექსია 59

I თავი.
საკვლევი საკითხის მიმოხილვა

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რომელშიც ნებისმიერი მოსწავლე შეძლებს საკუთარი თავისათვის, საზოგადოებისა და სამშობლოსათვის მნიშვნელოვანი ცოდნის შეძენასა და უნარ-ჩვევების ათვისებას. მოსწავლის შესაძლებლობების ყოველმხრივ განვითარებისათვის არსებობს ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია მოსწავლეთათვის აუცილებელი ცოდნა, რომელსაც მოსწავლეები ეუფლებიან ნაბიჯ-ნაბიჯ ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში. შესაბამისად, საჯარო სკოლა აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით გეგმავს სწავლა-სწავლების პროცესს. სკოლის ამოცანაა, შეძლოს ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევა და მოსწავლეების ფუნქციური ცოდნით აღჭურვა, მოგეხსენებათ, ცოდნა, რომლის ტრანსფერიც არ ხდება ცხოვრების საჭიროებისამებს, ფუჭია.

ეფექტური და წარმატებული შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია სკოლაში არსებული პრობლემური საკითხების დასმა და მათ გადასაჭრელად კონკრეტული გზებისა და საშუალებების გამოძებნა პროფესიული საჭიროებების გათვალისწინებით. ქვეყნად განათლების სისტემაში მიდმინარე რეფორმები იმისაკენაა მიმართული, რომ განათლებული, დამოუკიდებლად მოაზროვნე, მოწესრიგებული და კულტურული პიროვნებები აღიზარდონ, რათა მარტივად შეძლონ საკუთარი თავის რეალიზება, თვითდამკვიდრება. ამას ახალგაზრდები მაშინ შეძლებენ, როცა ექნებათ სწორი ორიენტაცია მომავალი პროფესიის არჩევისას და სწავლა-სწავლების მიზანი არ იქნება მხოლოდ ეროვნული გამოცდებისათვის მზადება. მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში, კი მართალია, ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს სკოლა ასრულებს, მაგრამ ასეთივე მნიშვნელოვანია, პიროვნების შინაგანი სამყარო, გარემო და ოჯახი. ამიტომ თითოეული ეს კომპონენტი აქტიურად უნდა ჩაერთოს მოზარდის სწავლებისა დააღზრდის საქმეში. აქ კი ძირითადი აქცენტი შეფასებაზეა გადატანილი. მშობელიც და მოზარდიც ყურადღებას ამახვილებენ ქულაზე და შესწავლილი მასალის მნიშვნელობა, რამდენად იყენებს და რამდენად სარგებლობს საკუთარი ცოდნით მოზარდი, ეს ფაქტი, სამწუხაროდ, უგულებელყოფილია. უმთავრესი მიზანი ისევ რჩება უნივერსიტეტში პრესტიჟულ ფაკულტეტზე ჩარიცხვა და არა ის, რომ აირჩიონ საჭირო პროფესია მოზარდის ინტერესისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. ამის მიზეზი ისიც არის, რომ სკოლაში სწავლის პერიოდში მოსწავლეები ვერ ფლობენ კონკრეტულ ინფორმაციას საკუთარი ცოდნის შესახებ. სწორედ ამიტომ ვთვლით, რომ სწავლა-სწავლების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს შეფასებას, ისეთ შეფასებას, რომელიც მოზარდს ზუსტად მიაწვდის ინფორმაციას, კონკრეტულად რა ცოდნას ფლობს, განსაზღვროს, რის გაკეთება შეუძლია და კიდევ რა სჭირდება საკუთარი მიზნის მისაღწევად.

კვლევა საინტერესო პროცესია, რადგან ამ დროს ვთანამშრომლობთ კოლეგებთან, მშობლებთან, ბავშვებთან და ვხელმძღვანელობთ სხვადასხვა ლიტერატურით, ქართველი თუ უცხოელი კოლეგების გამოცდილებით. კვლევის პროცესში ერთმანეთს ვუზიარებთ საკუთარ შეხედულებებს, იდეების, გამოცდილებებს. იქმნება ფოკუსჯგუფი და იმართება დისკუსიები დასმული საკითხის ირგვლივ. კვლევა ჩატარდა როგორც თვისებრივი ასევე რაოდენობრივი თვისებების გამოყენებით:

ფოკუსჯგუფი, დაკვირვება, ანკეტირება და კითხვარი, წერითი ნამუშევრების შემოწმება და ანალიზი.

ნაშრომში განხილულია ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლის V– XI კლასებში განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა და როლი მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებასა და ინტელექტუალური, ტოლერანტი და თავდაჯერებული მოქალაქის ჩამოყალიბებაში.

1.1. მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლაში 2018 -2019 სასწავლო წლის განმავლობაში 700 მოსწავლე სწავლობს. დასაქმებულია 63 ადამიანი. მათ შორის 53 მასწავლებელია. ორი მასწავლებელი არის დირექციის თანამშრომელი - დირექტორი და დირექტორის მოადგილე. ასევე ადმინისტრაციის ერთი თანამშრომელი - ბიბლიოთეკარი. სკოლის მასწავლებელთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული საგაკვეთილო პროცესი დაგეგმონ ახალი აქტივობებით და მასწავლებელთა სახლის მიერ გამოცხადებულ ტრეინინგებზე მიიღბოლი ცოდნა გამოიყენონ გაკვეთილის მსვლელობისას. აგრეთვე სკოლაში არიან მკვლევარი და მაძიებელი მასწავლებლები.
კოლეგების დიდი ნაწილი მუდმივად ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. სკოლის 53 მასწავლებლიდან ხუთს - წამყვანი მასწავლებლის სტატუსი აქვს, 30-ს უფროსის და მხოლოდ 18 მასწავლებელია პრაქტიკოსი. ყოველ წელს იზრდება იმ მასწავლებელთა რიცხვი, რომლებიც იცვლიან ანუ იმაღლებენ სტატუსს. ორი მასწავლებელი დირექციის წარმომადგენელი ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ფარგლებში სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერია.
საათობრივი სრული დატვირთვა მხოლოდ 12 მასწავლებელს აქვს, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ სკოლაში მასწავლებელთა ჭარბი რაოდენობაა. შედეგების თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ბოლო წელია რაც ეროვნულ ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლე გვყავს. ეს წარმატება იმედს გვაძლევს, რომ მომავალში მეტად გაიზრდება ოლომპიადებში გამარჯვებული მოსწავლეთა რაოდენობა.
სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა შედგება ხუთი მასწავლებელისაგან: მათგან წამყვანი მასწავლებელი არის სამი და ორი პრაქტიკოსი. ყველა მასწავლებელი მუშაობს დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურზე, კათედრის ერთი მასწავლებელი შეფასების ჯგუფის წევრია, ერთი კი ფასილიტატორი.

სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების კვალიფიკაცია და შესაძლებლობები, სკოლის ტექნოლოგიები იძლევა იმის საშუალებას, რომ სწორი მენეჯმენტის პირობებში სწავლა-სწავლების პროცესი სახალისო და საინტერესო გახდეს.

1.2. პრობლემის იდენტიფიცირება

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, შეფასების ორი სახე არსებობს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. I - IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში განმავითარებელი შეფასებაა, V კლასში II სემესტრიდან იწყება განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება არის 10-ქულიანი. ხშირია შემთხვევა, როდესაც მოსწავლემ კონკრეტულად არ იცის, რისთვის მიიღო შეფასება 7 ან 9, რა მოუწონა მასწავლებელმა დავალების (საკლასო, საშინაო თუ შემაჯამებელი) შესრულებისას და დაიმსახურა 9-იანი და რა დაუწუნა, რომ 10-იანი ვერ მიიღო, რა საჭიროებს გამოსწორებას, რის გამოც დაიმსახურა, დავუშვათ, 7-იანი. მართალია, მასწავლებელს შეიძლება ჰქონდეს შეფასების კრიტერიუმებიც შემუშავებული, მაგრამ ხშირად კრიტერიუმები ცალკეა და შეფასება ცალკე. ეს იმიტომ ხდება, რომ მოსწავლისა და მშობლისათვის მნიშვნელოვანი მაინც ქულაა და აღარ ინტერესდებიან, ეს შეფასება მოსწავლემ კონკრეტულად რის გამო დაიმსახურა. განმსაზღვრელი შეფასება არ იძლევა კონკრეტულ ინფორმაციას მოსწავლეთა ცოდნის შესახებ, ვერც მშობელი ხვდება, კონკრეტულად რა ცოდნას ფლობს ბავშვი, იცის მხოლოდ ქულა და სხვა არაფერი. მასწავლებლებსაც უმეტეს შემთხვევაში სწორედ განმსაზღვრელ შეფასებაზე გადააქვთ ყურადრება, რადგან წლის ბოლოს მაინც ქულებით განისაზღვრება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება.

ხშირად მასწავლებლები გეგმავენ რამდენიმე აქტივობას. აქცენტი გადააქვთ, როგორმე მოასწრონ ყველა, გეგმით გათვალისწინებული აქტივობა და აღარ რჩება დრო ეფექტური უკუკავშირისთვის, რომ კონკრეტულად აუხსნას მოსწავლეს, რისთვის დაიმსახურა ესა თუ ის ქულა. ამ შემთხვევაში არ ხდება მოსწავლის საჭიროებების დადგენა. პრაქტიკაში თითქმის ყველა მასწავლებელს ჰქონია ასეთი შემთხვევა, მაგალითად, მშობელი უკმაყოფილოა შვილის ქულით, ამტკიცებს, რომ ბავშვი სისტემატურად სწავლობს, მაგრამ მისი განმსაზღვრელი შეფასება არ უმჯობესდება, მშობლისთვის ამ შემთხვევაში გაუგებარი რჩება, რა უნდა ისწავლოს მოზარდმა კონკრეტულად თავისი შედეგის გასაუმჯობესებლად. ჩემს პრაქტიკაში აშკარად დავინახე, რომ განმსაზღვრელი შეფასება არასაკმარისია მოსწავლეს და მის მშობელს ჰქონდეთ კონკრეტული ინფორმაცია თავისი ცოდნის შესახებ. ასეთმა შემთხვევებმა ნათელყო სამეტყველო კომუნიკაციის აუცილებლობა მოსწავლეთა შედეგების გასაზრდელად.

ასევე იმ პრობლემამაც იჩინა თავი, რომ ასეთი გაურკვევლობის შემთხვევაში მოსწავლეებს შეიძლება არასწორი თვითშეფასება ჩამოუყალიბდეთ: დაბალი თვითშეფასება — რწმუნდებიან, რომ თავად ვერ იგებენ მასალას, თავად ვერ გებულობენ მასწავლებლის ახსნილს, ან, პირიქით, გადაჭარბებული თვითშეფასება საკუთარ თავზე. ხშირად არ ხდება სიტყვიერი კომუნიკაცია, უგულებელყოფილია მოსწავლეთა თვითშეფასება და თანატოლის შეფასება, ანუ ფაქტი, რომ ბავშვები ერთმანეთის აზრს მნიშვნელოვნად თვლიან და ეს ეხმარებათ განვითარებაში, სწავლა-სწავლების პროცესში წარმატების მიღწევაში.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს ადეკვატური თვითშეფასება ჩამოუყალიბდეთ, აუცილებელია სამეტყველო, ეფექტური კომუნიკაციით რეალური თვითშეფასება ჩამოვუყალიბოთ მოსწავლეებს. ამით მივაღწევთ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დასახულ მიზანს: თავისი ცოდნით შეძლებს თვითდამკვიდრებას საზოგადოებაში.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ბირთვს წარმოადგენს ენა, როგორც პიროვნების თვითგამოხატვის, აზრის ჩამოყალიბებისა და გადაცემის საშუალება. სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების პირადი, ცხოვრებისეული, სოციალური თუ პროფესიული სირთულეების დამოუკიდებლად დაძლევის პროცესს. მნიშვნელოვანი როლი კვლევის პროცესში მაინც ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლას მივაკუთვნეთ, რადგან ქართული ენა სწავლების ენა და ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალებაა.

ენის სწავლების მიზანი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შემდეგში მდგომარეობს:
ა) განუვითაროს მოზარდს ძირითადი სამეტყველო უნარები(წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი).
ბ) განუვითაროს განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი;
გ) ჩამოუყალიბოს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების უნარი;
დ) გაუმდიდროს ლექსიკური მარაგი.
ე) განუვითაროს მსჯელობისა და აზრის ცხადად, ლაკონიურად და მწყობრად გამოხატვის უნარი.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის III თავის „სწავლება და შეფასება“ მე-9 მუხლში წერია, რომ მასწავლებელი აცნობიერებს ურთიერთკავშირს სასწავლო მიზანს, შეფასებასა და სწავლას შორის, ასევე შეფასების ძირითად პრინციპებს, საკუთარ საქმიანობაში იყენებს შეფასების სხვადასხვა ფორმას ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით და შეფასების შედეგებიდან მიღებული მონაცემებით განსაზღვრავს მოსწავლეთა საჭიროებებს და გეგმავს ახალ აქტივობებს მათი სწავლების გასაუმჯობესებლად. მასწავლებელი ასევე ეხმარება მოსწავლეებს, გამოიყენონ მასწავლებლის შეფასება, თანატოლების შეფასება და თვითშეფასება საკუთარი თავისადმი რწმენის ჩამოსაყალიბებლად, სხვა მოსწავლეების შესაძლებლობების შეფასებისა და წარმოჩენისათვის და, რა თქმა უნდა, საკუთარი შედეგების გასაუმჯობესებლად.

დიდი ხანია, მოსწავლეთა შესაფასებლად საბაზო და საშუალო საფეხურზე განმსაზღვრელ შეფასებას ვიყენებთ. კრიტერიუმებსაც ვსაზღვრავთ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე კათედრის სხდომებზეც, იშვიათად მოსწავლეებთან ერთადაც, მაგრამ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება თითქმის არ იცვლება, არც ზეპირ და არც წერით მეტყველებაში. საჭიროებამ მოითხოვა ცვლილებების განხორციელება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. მნიშვნელოვნად მივიჩნიე განმავითარებელი შეფასების განმტკიცება, მისი სიხშირის დანერგვა მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად, მისი წინსვლისათვის.

1.3. საკვლევი საკითხის აქტუალობა

მოსწავლეებთან საუბარმა ნათელყო, რომ ბავშვებს არ ეძლევათ კონკრეტული ინფორმაცია საკუთარი ცოდნის შესახებ. ამის შემდეგ დავიწყეთ მოსწავლეთა შეფასების შედეგების შემოწმებაც, და ცხადი გახდა, რომ განმსაზღვრელი შეფასების შედეგად არ იცვლება დინამიკაც. მოსწავლე, რომელიც ფასდება 6, 7 ან 8 ქულით, შეიძლება წლის ბოლომდე თუ არა, სემესტრის ბოლომდე მაინც გაჰყვეს ეს შეფასება და თუ იცვლება, სამწუხაროდ, არ იცვლება ბავშვის სასიკეთოდ, ანუ შედეგი არ უმჯობესდება. მოსწავლეებთან პირადმა საუბრებმა დაგვარწმუნა, რომ მათ არა აქვთ გაცნობიერებული, რა ცოდნა უნდა ჰქონდეთ იმისათვის, რომ გაიუმჯობესონ შედეგები და ვერც

იმას ხვდებიან დამოუკიდებლად, როგორ გაზარდონ საკუთარი თავის ეფექტურობა, არ აქვთ საკუთარი ცოდნის შესახებ ცოდნა, მეტაკოგნიცია, მათ ფაქტობრივად არ იციან, როგორი ტიპის „მსწავლებლები“ არიან, რა სჭირდებათ თავიანთი შედეგების ასამაღლებლად. ჩამოთვლილ პრობლემათა გაცნობიერების შემდეგ დავიწყე მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასება, გადავედით უფრო ეფექტურ უკუკავშირებზე - მოსწავლეებს კონკრეტულად ვუთითებდი, მაგალითად, თხრობის დროს როგორ გადმოეცათ პერსონაჟის დახასიათება ან როგორ ჩასწვდომოდნენ ტექსტში არსებულ პრობლემას, წერის დროს უშუალოდ რაზე გაემახვილებინათ ყურადღება, რა საჭირო იყო და როგორ გამოეყო აბზაცები, საჭიროებისამებრ დაესვა სასვენი ნიშნები, მომდევნო გაკვეთილზე ვამოწმებდი, რამდენად ეფექტური იყო უკუკავშირი, რაც უფრო მეტ დროს ვხარჯავდით განმავითარებელ შეფასებაზე, მით უფრო მალე ხვდებოდნენ ბავშვები, რა იყო საჭირო მათი შედეგების გასაზრდელად. თუმცა აღმოჩნდა, რომ მეორე უკიდურესობამაც იჩინა თავი: საკუთარი თავი დავაფიქსირე, რომ მოსწავლეებისაგან გამუდმებით ვითხოვდი, დაემსახურებინათ 10 ქულა. დაკვირვებამ მიმიყვანა დასკვნამდე: აჯობებდა, უკუკავშირი დამეწყო დადებითით, მაგალითად თუ მოსწავლემ დაიმსახურა 7 ქულა, თავდაპირველად უნდა აღმენიშნა, რა იყო ამ დავალებაში ღირსშესანიშნავი, ხომ შეიძლებოდა მოსწავლეს უფრო დაბალი შეფასება მიეღო?! შეფასების დაწყება მოსწავლის დამსახურებების აღნიშვნით ზრდის მის მოტივაციას, საკუთარი თავის რწმენას, მასწავლებლის ნდობის ფაქტორს. დავრწმუნდი, რომ მოსწავლე აქტიურად ებმება სასწავლო პროცესში და ნაბიჯ-ნაბიჯ იუმჯობესებს შედეგებს. წლის ბოლოს კი დავრწმუნდით, რომ მოსწავლეებმა მაქსიმალურად აიმაღლეს ცოდნის დონე, ეფექტური უკუკავშირით მათ კონკრეტულად იცოდნენ, როგორ დაწერონ არგუმენტირებული თუ ანალიტიკური ესე, როგორ მოემზადონ დისკუსიაში მონაწილეობისათვის, ამოიცნონ ტექსტის მთავარი სათქმელი, დაენახათ პრობლემა და თავად დაესახათ პრობლემის გადაჭრის გზები. გადავწყვიტე საკუთარი გამოცდილება გამეზიარებინა კოლეგებისათვის და სკოლის მასშტაბით გამოგვეკვლია განმავითარებელი შეფასების ეფექტურობა. მე-11 კლასებში მიღწეული წარმატების დინამიკა დაახლოებით ასე გამოიყურება (სახელები არ შეესაბამება სიმართლეს):

2017-2018										
#	მოსწავლე	ოქტ.	ნემბ.	დეკ.	იანვ.	თებერ.	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
1.	ანანო	6	6	6	6	6	7	7	8	8
2.	ქრისტინე	5	6	5	6	6	6	7	7	8
3.	გიორგი	5	6	6	6	7	7	8	8	8
4.	დავითი	6	6	6	7	7	7	8	8	9
6.	ალექსანდრე	8	8	8	8	8	9	9	19	10
7.	ზაალ	7	7	7	7	8	8	9	9	9
8.	ზაზა	7	7	7	8	7	8	8	9	9

2018-2019										
#	მოსწავლე	ოქტ.	ნოემბ.	დეკ.	იანვ.	თებერ.	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
1.	ანანო	8	8	9	9	9	10	10	10	10
2.	ქრისტინე	7	7	8	8	8	9	8	9	9
3.	გიორგი	8	8	9	9	8	9	9	9	10
4.	დავითი	8	8	9	9	9	9	10	10	10
6.	ალექსი	8	8	9	9	9	10	9	10	10
7.	ზაალი	8	8	8	9	9	9	9	10	10
8.	ზაზა	8	8	9	9	9	9	10	9	10

ჩემს კლასებში მიღწეულმა წარმატებამ გადამაწვეტინა, სკოლის მასშტაბით მეკვლია პრობლემა: არის თუ არა მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასება ინფორმაციული, რა ცოდნას ფლობს მოსწავლე, რამდენად პროდუქტიულია მოსწავლის ცოდნა, იძლევა თუ არა განმსაზღვრელი შეფასება იმის ცოდნას, რა სჭირდება მოსწავლეს უკეთესი შედეგის მისაღწევად, ან რა უნდა განავითაროს, რომ შედეგი გაუმჯობესოს. კვლევასთან დაკავშირებით მაინტერესებდა, თუ ჰქონდათ ჩემს კოლეგებს გამოცდილება, განმსაზღვრელი შეფასების გარდა, როგორ აღწევდნენ მოსწავლეები თავიანთი შედეგების გაუმჯობესებას.

შევთანხმდით, ვიდრე კვლევას დავიწყებდით, ჩაგვეტარებინა გამოკითხვა მოსწავლეებში იმის შესახებ, რამდენად ინფორმირებული არიან მოსწავლეები განმსაზღვრელი შეფასების მიხედვით, კონკრეტულად რა იციან, რა ცოდნისთვის იმსახურებენ კონკრეტულ ქულას ამა თუ იმ საგანში. გამოიკითხა 320 მოსწავლე (კითხვარი #1, თან ახლავს) .

იცით თუ არა, კონკრეტულად რის ცოდნისთვის დაიმსახურეთ თქვენ მიერ მიღებული ქულა? **პასუხი აღნიშნეთ V-ით**		
ზუსტად ვიცი	დაახლოებით ვიცი	წარმოდგენა არ მაქვს

შედეგები ასე გამოიყურება:



თითქოს შედეგი აღმაფრთოვანებელია, ბავშვების 77,5 %-მა ზუსტად იცის, რომ მისი ცოდნა რატომ შეფასდა კონკრეტულ ქულაზე!!! ახლა ვნახოთ შემდეგი გამოკითხვის შედეგები. ამჯერად მოსწავლეებს შევთავაზე კონკრეტული პასუხისთვის შემდეგი კითხვარი (თან ახლავს)

შეგიძლიათ, მიუთითოთ მხოლოდ 2 პასუხი V-თი:

კონკრეტულად რომელი კრიტერიუმის შესრულებისთვის იმსახურებთ განსაზღვრულ ქულას კონკრეტულ გაკვეთილზე?		
შემოქმედებითობა		
დისკუსიაში მონაწილეობა		
ტექსტის შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა		
ორიგინალური საშინაო დავალების შესრულება		
ორიგინალური აზროვნება		
გაკვეთილზე აქტიურობა		

ანალიტიკური ესეს წერა		
არგუმენტირებული ესეს წერა		
არ ვიცი კონკრეტულად		

მოსწავლეებს შეეძლოთ შემოეხაზათ მხოლოდ 2 პასუხი, კონკრეტულად რომელი დავალების შესრულებისას დაიმსახურეს ქულა. აქცენტი უმრავლესობმ მაინც ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე მიღებული ქულაზე გადაიტანა. ახლა ვნახოთ როგორია მოცემული გამოკითხვის შედეგები:



გამოკითხვამ გვიჩვენა, ერთი მხრივ, თითქოს ბავშვებმა იციან, რისთვის იმსახურებენ მიღებულ ქულას, მაგრამ, როდესაც კონკრეტულად ვიკითხეთ, რომელი დავალების შესრულებისას ღებულობენ ქულას, აბსოლუტურად საპირისპირო შედეგი მივიღეთ. ამიტომ ჩემი მოსაზრება გავუზიარე მათემატიკის მასწავლებელს აზა მარუაშვილს და დავადგინეთ, სკოლის მასშტაბით ქართული ენისა და მათემატიკის მიმართულებით გამოგვეკვლია, რამდენად ეფექტურია განმავითარებელი შეფასება მოსწავლეთა წარმატებისათვის.

პრობლემის აქტუალობა იმითაც დასტურდება, რომ განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობასა და აუცილებლობას მიეძღვნა მასწავლებელთა ეროვნული კონფერენცია, გამოიცა სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის „განმავითარებელი შეფასება, დიფერენცირებული სწავლება“(ავტორი მ. ხუნძაყიშვილი), მუდმივად იწერება სხვადასხვა ავტორთა სტატიები, მუდმივად ჩნდება პრობლემები შეფასებასთან დაკავშირებით, განათლების სპეციალისტები და ფსიქოლოგები მუდმივად ახალ-ახალ მეთოდოლოგიასა და სტრატეგიებს გვთავაზობენ განმავითარებელი შეფასების დასამკვიდრებლად, ახალ 2018-2024 წლის ეროვნულ სასწავლო გეგმაში უშუალოდ მითითებულია, რომ განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად მოსწავლეთა შესრულებულ დავალებას

თან დაერთოს სიტყვიერი კომენტარი. აქედან დასკვნა: ჩვენი საზოგადოების(და არამარტო) ბევრი ადამიანი თვლის, რომ შეფასება არის პრობლემა მოსწავლეთა განვითარებისთვის, მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებისთვის, თვითსეფასების ჩამოყალიბებისთვის, თავისი სწავლის სწავლის გაგებისთვის. აქედან გამომდინარე აუცილებელია ეფექტური უკუკავშირების არსებობა. აქტუალურია განმავითარებელი შეფასების გამოყენება, როგორც ჩვენი არჩევანი, ხშირად უნდა გამოვიყენოთ საბაზო, საშუალო საფეხურზე, რაკი ვალდებულება არ არის, თუმცა აშკარად აუცილებელია, რადგან განმავითარებელი შეფასების უგულებელყოფა მოსწავლეებში იწვევს არაადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბებას, რაც მოზარდისთვის მომავალში, როგორც საზოგადოების წევრისათვის იქნება პრობლემა - შეიძლება ჩამოუყალიბდეს არასრულფასოვნების განცდა, რაც დაუშვებელია. ასე რომ, განმავითარებელი შეფასების აუცილებლობა აშკარად იკვეთება.

1.4. კვლევის მიზანი.

აუცილებლობად ვაქციოთ მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით

საკვლევი საკითხის მიზანი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: დავადგინოთ და გავაანალიზოთ, ის მიზეზები, რატომ ვერ ფლობს მოსწავლე და მშობელი კონკრეტულ ინფორმაციას თავისი ცოდნის შესახებ, რატომ არ იცვლება მოსწავლეთა შედეგების დინამიკა, რატომ არ ხერხდება ეფექტური უკუკავშირი გაკვეთილზე და განვსაზღვროთ, რაში დაგვეხმარება განმავითარებელი შეფასება. დავგეგმოთ არსებულ მიზეზთა გამოსწორების გზები. განმავითარებელი შეფასებისა და დიფერენცირებული სწავლის ინსტრუმენტების გამოყენებით დავადგინოთ მოსწავლეთა საჭიროებები და მივცეთ მათ კონკრეტული რჩევები, როგორ გააუმჯობესონ სწავლის ხარისხი და მიაღწიონ მაღალ აკადემიურ დონეს.

უნდა დავგეგმოთ და განვახორციელოთ შესაბამისი ინტერვენციები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეს, ზუსტად განსაზღვროს, რა ცოდნას ფლობს, კიდევ რის ცოდნა დასჭირდება მიღწეული შედეგის გასაუმჯობესებლად და მაღალი რეალური თვითშეფასების ჩამოსაყალიბებლად.

განვსაზღვროთ მეთოდები, რომლებსაც გამოვიყენებთ მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებისათვის, როგორ მოეხმარება მოსწავლეებს თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებაში, საჭიროებების გარკვევაში, საკუთარი შედეგების გაუმჯობესებაში, ასევე მშობელს შვილის ცოდნის განსაზღვრაში.

კვლევის ფარგლებში აუცილებელია, მოვიძიოთ საკვლევ მასალასთან - სწავლა-სწავლების პროცესში განმავითარებელი შეფასების როლზე შესაბამისი ლიტერატურა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, გავეცნოთ ქართველი და უცხოელი მკვლევრების, პედაგოგების, ექსპერტების მოსაზრებებსა და გამოცდილებას. ეს კი გამოგვადგება, შევიმუშაოთ განმავითარებელი შეფასების დეტალურად შემოწმებული და დახვეწილი კრიტერიუმები, შევაფასოთ და გავაანალიზოთ მიღწეული შედეგები და გამოყენებული ინტერვენციები.

განმავითარებელი შეფასებისა და დიფერენცირებული სწავლის ინსტრუმენტების გამოყენებით დავადგინო მოსწავლეთა საჭიროებები და მივცე მათ კონკრეტული რჩევები, როგორ გააუმჯობესონ სწავლის ხარისხი და მიაღწიონ მაღალ აკადემიურ დონეს.

1.5. კვლევის სტრუქტურა.

სწავლა-სწავლების პროცესში განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა რომ განვსაზღვროთ, განვახორციელოთ და დავამკვიდროთ, საჭიროა, პასუხი გაეცეს, რა სარგებელს მიიღებენ:

მოსწავლეები:

- რა ინფორმაციას მიიღებენ საკუთარი ცოდნის შესახებ?
- როგორ მოეხმარებათ განმავითარებელი შეფასება თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად?
- რამდენად უზრუნველყოფს განმავითარებელი შეფასება მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და შედეგების გაუმჯობესებას?
- როგორ იმოქმედებს განმავითარებელი შეფასება მათი შედეგების დინამიკაზე?
- რა როლს შასრულებს მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებასა და გადაწყვეტილების მიღებაში განმავითარებელი შეფასება?
- როგორ ჩამოაყალიბებენ საკუთარ თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებას?
- რამდენად ხშირად უნდა ფასდებოდნენ მოსწავლეები განმსაზღვრელი და რამდენად - განმავითარებელი შეფასებით?

კოლეგები:

- როგორ დაგეგმონ მოქნილი და საინტერესო გაკვეთილი განსაზღვრული აქტივობებით?
- როგორ დაეხმარებათ განმავითარებელი შეფასება მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად?
- რა მეთოდები და სტრატეგიები გამოიყენონ მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად?
- განმავითარებელი შეფასების რომელი ინსტრუმენტები და აქტივობები გამოიყენონ ეფექტური უკუკავშირისთვის?
- როგორ დაეხმარება განმავითარებელი შეფასება მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლების ურთიერთთანამშრომლობას?
- რამდენად ხშირად უნდა ფასდებოდნენ მოსწავლეები განმსაზღვრელი და რამდენად - განმავითარებელი შეფასებით?
- რატომ არის გასათვალისწინებელი განმავითარებელი შეფასების აუცილებლობის გადასაჭრელად მშობელთა ჩართვა?

მშობლები:

- რა ინფორმაციას მიაწვდის განმავითარებელი შეფასება შვილის ცოდნის შესახებ?
- რატომ არის გასათვალისწინებელი განმავითარებელი შეფასების აუცილებლობის გადასაჭრელად მშობელთა ჩართვა?
- როგორ უმჯობესდება შვილის სწავლის შედეგი, მისი უნარები და კიდევ რა არის საჭირო უკეთესი შედეგის მისაღწევად?
- რამდენად ხშირად უნდა ფასდებოდნენ მოსწავლეები განმსაზღვრელი და რამდენად - განმავითარებელი შეფასებით?

1.6. ძირითადი დასკვნები.

საბაზო და საშუალო საფეხურზე მასწავლებლები იშვიათად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეებმა ხშირ შემთხვევაში არ იციან, რამდენად შეესაბამება მათი ფუნქციური ცოდნა ასაკის გათვალისწინებით თანამედროვე მოთხოვნებს. მასწავლებლების სიტყვიერი კომენტარი ძირითადად შემოიფარგლება: „ყოჩაღ, დავალება კარგად შეგისრულებია!“ ან კიდევ: „ეს დავალება ასე არ უნდა შეგესრულებინა!“ მაგრამ კონკრეტულად რა შეასრულა კარგად და რა ვერ შეასრულა, ეს მასწავლებლის კომენტარში, სამწუხაროდ, მასწავლებლის კომენტარში იშვიათად გამოიხატება. მიზეზები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. მასწავლებელი ხშირ შემთხვევაში კარგად ვერ იცნობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, ინტერესს და შესაბამისად არ არჩევს თითოეულ მათგანზე მორგებული აქტივობებსა და სტრატეგიებს.
2. იშვიათია ეფექტური უკუკავშირი, სიტყვიერი კომენტარები კონკრეტულად იმის შესახებ, რა შეუძლია მოსწავლეს კარგად და რა სჭირდება უკეთესი შედეგის მისაღწევად.
3. სრული ჩართულობის მისაღწევად იშვიათია დიფერენცირებული სავარჯიშოები და დავალებები მოსწავლისათვის.
4. მოსწავლეებისათვის საჭირო დავალებებისა და აქტივობების შერჩევას მეტი დრო და ძალისხმევა სჭირდება.
5. მოსწავლეები და მშობლები ძირითადად ინტერესდებიან მხოლოდ ქულებით.
6. მასწავლებელს ხშირ შემთხვევაში არ აქვს ეფექტურად დაგეგმილი გაკვეთილი და უჭირს დროის რაციონალურად მართვა.
7. მასწავლებლები ნაკლებად იცნობენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და თავს არიდებენ ბავშვებთან სიტყვიერ კომუნიკაციებსა და გულახდილ საუბარს, რადგან ეს მხოლოდ დამრიგებლის ფუნქცია გონიათ.
8. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საკლასო ოთახების ნაკლებობაა და მასწავლებლის მცირე ხელფასი.

II თავი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების კვლევის

არსი

ზოგადსაგანმანათლებლო საჭიროებების კვლევა მიეკუთვნება გამოყენებით კვლევათა რიცხვს. ეს არის პროფესიული სიტუაციების სისტემური კვლევა, სკოლაში მასწავლებელთა პროფესიონალიზმის დახვეწის, სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

ამჯერად მიმდინარე კვლევა დაგეგმილია სკოლაში განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობის გასაძლირებლად, სიხშირის დასადგენად და დასამკვიდრებლად მოსწავლეთა ძლიერი მხარისა და პოტენციალის აღმოსაჩენად, მასწავლებლების საჭირო უნარ-ჩვევების გასავითარებლად და, რაც მთავარია, სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად.

ზოგადსაგანმანათლებლო საჭიროებების კვლევა გულისხმობს თანამშრომლობით, კოლექტიურ მიდგომას. ასეთი მიდგომა ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გაწევის შემცირების ინსტრუმენტს წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოსალოდნელია გარკვეული ცვლილებები. თანამშრომლობითი პროგრამის საშუალებით კვლევაში ჩართული პიროვნებები ერთ გუნდად ერთიანდებიან, ამოიცნობენ პრობლემას, ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებს, იღებენ გადაწყვეტილებას, გააზრებულ პასუხისმგებლობას და აღწევენ სასურველ შედეგს. ცვლილება ეფექტურად ხორციელდება იმ ადამიანების კვლევის პროცესში ჩართვით, ვინც უშუალოდ ზარალდება. აქედან გამომდინარე, შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევაში უმჯობესია ჩავრთოთ თავად მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც.

III თავი. ლიტერატურა.

3.1. ლიტერატურის მიმოხილვა.

კვლევის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოცემულ თემაზე შექმნილ ლიტერატურას, რამეთუ ლიტერატურა გვაწვდის გამოცდილებას ქართველი და უცხოელი მოღვაწეებისა, ვინც კი დაინტერესებულა მოზარდებში განმავითარებელი შეფასების როლითა და მნიშვნელობით, გვაწვდის ინფორმაციას განმავითარებელი შეფასების იმ ინსტრუმენტების, მეთოდებისა და სტრატეგიების შესახებ, რომლებიც სჭირდება თანამედროვე ფუნქციური ცოდნით აღჭურვილი მოქალაქის აღზრდას.

2018-2024 წლის საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ:

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივად აგების (კონსტრუირების) საშუალებას. მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას შეასწავლის ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას“.

აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ განმავიარებელი შეფასებისა და ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით მოსწავლე უკეთ ახდენს მონიტორინგს წინა და მიმდინარე ცოდნის შესახებ, შეუძლია გაიაზროს, რის გაკეთება დასჭირდა, რათა აეგო ის ცოდნა, რასაც მიაღწია და დამოუკიდებლად წყვეტს და გეგმავს, კიდევ რის გაკეთებაა საჭირო მომავალი წარმატებისათვის. ეროვნული სასწავლო გეგმის მე-15 მუხლის შესაბამისად მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწალების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. რა თქმა უნდა, ორივე ემსახურება მოსწავლეების ცოდნის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, თუმცა მათ შორის განსხვავებას განსაზღვრავს სწავლების რომელ ეტაპზე და რა მიზნით ვიყენებთ თითოეულ მათგანს. განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება სასწავლო მასალაზე მუშაობის დასრულების შემდეგ. მისი მიზანია იმის დადგენა, თუ რა ხარისხით მიაღწია მოსწავლემ სტანდარტით განმსაზღვრულ სასწავლო მიზანს. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.

განმავითარებელი შეფასება გამოიყენება კონკრეტული საკითხის შესწავლისას. მისი მიზანია იმის დადგენა, თუ რამდენად კარგად გაიგო/გაიაზრა მოსწავლემ საკითხი. ესგ-დან ცნობილია, რომ განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი

საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთი და სხვ.
განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების აღწერილობა:

შინაარსი	*განმავითარებელი*	*განმსაზღვრელი*
მიზანი	*სწავლის ხარისხის გაუმჯობესება;* *მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა*	*სწავლის ხარისხის გაკონტროლება;* *მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით;* *აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა.*
შეფასების საგანი	*სწავლის პროცესი*	*სწავლის შედეგი*
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	*წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.*	*მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება*
წარმარტების კრიტერიუმების განსაზღვრა	*კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)*	*იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებით)*
შეფასების საშუალებები	*თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა;* *კითხვარი;* *სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი;* *უნარის განვითარების დონის აღწერა.*	*ქულა*

ესგ-ის შესაბამისად და თანამედროვე საგანმანათლებლო კვლევეის მიხედვით განმავითარებელი შეფასება არის საგანმანათლებლო ფაქტების მოძიებისა და ინტერპრეტაციის პროცესი, იმისათვის რათა მოსწავლეები და მასწავლებლები გაერკვნენ, რა აითვისეს მოსწავლეებმა და რა დონეზე, კიდევ რა უნდა ისწავლონ და როგორ ისწავლეონ. თუ მასწავლებელი ხედავს, რომ მის მიერ შედგენილი შეფასების სქემებით და უკუკავშირით მოსწავლის შედეგი არ უმჯობესდება, მასწავლებელმა უნდა შეცვალის თავისი მიდგომა, მეთოდები, აქტივობები, შეფასების სქემებიც.

„სწავლება და შეფასება“ - დამხმარე სახელმძღვანელოს II ნაწილში ვკითხულობთ (ავტორთა ჯგუფი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008 წ.):
„მოსწავლის შეფასება სხვადასხვა მიზანს ემსახურება. შესაბამისად, არსებობს შაფასების სხვადასხვა, კონკრეტული მიზნის შესაბამისი ფორმა. შეფასების ორი უმნიშვნელოვანესი ფორმა, რომლებიც სწავლისა და სწავლების განუყოფელ და სისტემურ ნაწილს წარმოადგენს, არის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა იცოდეს, თუ როდის და რა კონკრეტული მიზნისთვის უნდა გამოიყენოს შეფასების ერთი ან მეორე ფორმა“.

„შეფასების საშუალებით, მასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა მიღწევების შესაბამისობას სასწავლო გეგმითა და საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შეფასება მასწავლებელს აძლევს ინფორმაციას მოსწავლეთა წინსვლის, ამასთანავე პრობლემების შესახებ, ანუ იმის შესახებ, რამდენად კარგად სწავლობენ მოსწავლეები, მეორე მხრივ, შეფასება მასწავლებელს აძლევს ინფორმაციას იმის შესახებაც, თუ რამდენად კარგად ასწავლის თვითონ მასწავლებელი და რამდენად შედეგიანია ის მეთოდიკა, რომელსაც იგი იყენებს.“

აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ მასწავლებელს საჭირო დროს შეუძლია საჭირო შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება, რომლებიც დაეხმარება, არა მარტო განსაზღვროს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, არამედ შეაფასოს საკუთარი მუშაობაც. ვიღებ ინფორმაციას, რა შემეშალა და ვხვდები, რა უნდა გამომესწორებინა. სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შეფასებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, თუ რა, როდის, რატომ და როგორ შეაფასოს. მასწავლებელი, პირველ რიგში, გეგმავს, თუ რა შედეგის მიღწევა სურს, შემდეგ გეგმავს, თუ როგორ შეაფასოს, ბოლოს, განსაზღვრავს იმ საშუალებებს, რომლებითაც იგი ამ შდეგის მიღწევას შეეცდება.

„სწავლება და შეფასება“ - დამხმარე სახელმძღვანელოს II ნაწილში ასევე საუბარია შეფასების სქემებზე, სახეებზე (ავტორთა ჯგუფი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008 წ.): ისეთ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელს სურს, რომ მოსწავლის ცოდნა შეაფასოს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით, იგი იყენებს ან ქმნის ანალიტიკური შეფასების სქემას. იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რის შემოწმებას / გაუმჯობესებას გეგმავს მასწავლებელი, მან სქემა შეიძლება რამდენიმე კრიტერიუმად დაყოს (მაგ.: დავალების მოთხოვნასთან შესაბამისობა / არგუმენტაციის უნარი / გრამატიკულ-ლექსიკური კომპეტენცია და ა.შ.)ანალიტიკური სქემის უპირატესობა არის ის, რომ მისი გამოყენების შემთხვევაში მასწავლებელსაც და მოსწავლესაც აძლევა კონკრეტული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რაში (რომელ კრიტერიუმში) აქვს მოსწავლეს პრობლემები და რაზე უნდა იმუშაოს მეტი. ერთი და იმავე სქემის სისტემატურად გამოყენება პროგრესის მონიტორინგის კარგ საშუალებას იძლევა. შეფასების სქემა უნდა იყოს სანდო, სანდოა იმ შემთხვევაში, როდესაც ორი გამსწორებლის მიერ ერთი და იმავე მოვლენის შეფასება არ არის განსხვავებული. შეფასების შედეგები არ უნდა იყოს განპირობებული მასწავლებლის გამოცდილებით, გემოვნებით ან განათლებით. ეს მიიღწევა იმ შემთხვევაში, როდესაც მახასიათებლები (რუბრიკები) ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული.

აქედან დასკვნა: შეფასების სქემა უნდა იყოს ვალიდური, ანუ მიზანთან შესაბამისი. სქემა უნდა ამოწმებდეს მხოლოდ იმას, რის შემოწმებასაც ისახავს მიზნად. ეს შეასაძლებელია პრაქტიკულად შემდეგნაირად ავხსნათ: თუ მასწავლებელი აფასებს ჯგუფურ მუშაობაში მოსწავლეების ჩართულობას, ხოლო შეფასების სქემა ზეპირი კომუნიკაციის უნარს ამოწმებს, შეფასების ასეთი სქემა ვალიდური, ანუ მიზანთან შესაბამისი ვერ იქნება. ასე რომ, შეფასების სქემა უნდა იყოს გამჭვირვალე, მოსწავლეები წინასწარ უნდა იცნობდნენ და მონაწილეობდნენ მის შედგენაში, რადგან ამით მათი ცოდნა ფასდება. მათ უნდა იცოდნენ, თუ რას, რა კრიტერიუმებით და როგორ აფასებს კონკრეტული შეფასების სქემა, ამიტომ მოსწავლეებმა თავად უნდა მიიღონ მონაწილეობა შეფასების სქემის შექმნაში მასწავლებელთან ერთად.

„სწავლება და შეფასება“ - დამხმარე სახელმძღვანელოს II ნაწილში ასევე საუბარია შეფასების სქემებზე, სახეებზე (ავტორთა ჯგუფი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008 წ.): „მოსწავლეებმა შეიძლება შეაფასონ საკუთარი თავი(თვითშეფასება), ასევე შეაფასონ მეგობარი (თანატოლთა შეფასება). მოსწავლის თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება მოსწავლის შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტებია. შეფასების ეს მეთოდები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია მოსწავლეს, თვალყური ადევნოს საკუთარ პროგრესს. მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ თვითშეფასების სისტემატური გამოყენება მოსწავლეს საკუთარი ცოდნის ობიექტურ შეფასებას ასწავლის და დამოუკიდებლად სწავლის ჩვევებს და თვითკრიტიკის უნარს უვითარებს.
თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება მოსწავლეებს აძლევს იმის საშუალებას, რომ უფრო კარგად გააცნობიერონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები. ამით მათ სწავლის პროცესის მიმართ მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა უვითარდებათ.
მოსწავლეების მიერ საკუთარი შესაძლებლობებისა და მიღებული ცოდნის შეფასება არის თვითშერფასება, ხოლო მეგობრის, თანაკლასელის შეფასება - თანატოლთა შეფასება. თვითშეფასების ან თანატოლთა შეფასების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა შეფასების სქემებია....
მეორე მხრივ, შეფასების ამ მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვანია თავად მასწავლებლისთვისაც - მათი საშუალებით უფრო მეტ ინფორმაციასაც აგროვებს მოსწავლეების შესახებ და უფრო ეფექტურად შეუძლია, დაეხმაროს მათ. თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება მასწავლებელს მოსწავლის საბოლოო განმსაზღვრელ შეფასებაში ეხმარება.“

აქედან გამომდინარე, მასწავლებელს მოსწავლეთა თვითშეფასება რომ მოეხმაროს მოსწავლის საჭიროებების დასადგენად, უნდა შეიმუშაოს მარტივი და კონკრეტული სქემები. ამ სქემათა დახმარებით მასწავლებელი განსაზღვრავს, კომუნიკაციის როგორი ფორმა იქნება საჭირო მოსწავლესთან: ზეპირად მიუთითოს თუ წერილობითი კომენტარით აღნიშნოს, რა გამოსდის უკეთესად და რა საჭიროებს გაუმჯობესებას. მოსწავლის ჩანაწერი თვითშეფასების ერთ-ერთი ფორმაა. ჩანაწერის საშუალებით მოსწავლე ობიექტურად აფასებს საკუთარ წარმატებებს და პრობლემებს, ეძებს სირთულეების გადალახვის გზებს.
მაშასადამე, აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ: როდესაც მასწავლებელი კომენტარით აფასებს მოსწავლის ცოდნას, მას აძლიერებს მოსწავლეთა თვითშეფასება. ბავშვები საკუთარ შესაძლებლობებსა და მიღებულ ცოდნას აფასებენ, უვითარდებათ თვითდაკვირვების უნარი, ხოლო მეგობრის, თანაკლასელის შეფასება - თანატოლთა შეფასება შეფასების ის მეთოდებია, რომლის დროსაც მოსწავლე დამოუკიდებლად, მასწავლებლის უშუალო მონაწილეობის გარეშე ადევნებს თვალს ცოდნის მიღების პროცესს და აფასებს თავის შესაძლებლობებს. ეს კი მას დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს უყალიბებს.

უნდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ განმავითარებელი შეფასების სანდოობისა და ეფექტურობის შესახებ თვით მასწავლებლებს შორისაც სხვადასხვა შეხედულებაა.
აი რას წერს ამის შესახებ პროფესიული განვითარების ექსპერტი სოფო გორგოძე („ეფექტური განმავითარებელი შეფასების შესახებ“ ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge 26 ოქტომბერი, 2016 წელი):

არასწორი შეხედულებები განმავითარებელი შეფასების შესახებ

განმავითარებელი შეფასება მასწავლებლისგან დიდ დროს და ძალისხმევას მოითხოვს.

სინამდვილეში განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები სულაც არ მოითხოვს ბევრ დროს. მაგალითად, მასწავლებლები ისედაც უსვამენ კითხვებს მოსწავლეებს და შეიძლება ეს კითხვები ისე დავსვათ, რომ მათ განმავითარებელი ფუნქცია შეიძინონ.

განმავითარებელი შეფასება არის მასწავლებლის კომენტარი: კომენტარი, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი, არის განმავითარებელი შეფასების მხოლოდ ერთ-ერთი ინსტრუმენტი.

განმავითარებელი შეფასება არის მოსწავლის შექება, თუკი მოსწავლეს ვეტყვით: „ყოჩაღ“, „კარგი გოგო/ბიჭი ხარ“ და ზუსტად არ განვუმარტავთ, რა გააკეთა კარგად, მაშინ შექება ვერ იქნება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი.
კლასის წინაშე დასმული კითხვა „გასაგებია?“ არის განმავითარებელი შეფასება!
კითხვები განმავითარებელი შეფასების კარგი ინსტრუმენტია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაღალი დონის სააზროვნო უნარებზეა გათვლილი. შესაბამისად, კლასის წინაშე დასმული ისეთი კითხვები, როგორიცაა „გაიგეთ?“ ან „არის რამე, რაც ვერ გაიგეთ?“ არ არის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი.

ცხადია, განმავითარებელი შეფასება კონკრეტული ცოდნის(არცოდნის) შეფასებას გულისხმობს. ამიტომ „კარგი გოგო/ბიჭი“, ცხადია ვერ იქნება განმავითარებელი შეფასება. თუ მასწავლებელი კონკრეტულად არ მიუთითებს მოსწავლეს, რა შეასრულა საუკეთესოდ, რა - კარგად და რის გაკეთება გაუჭირდა, ვერც მოსწავლე და ვერც მასწავლებელი ვერ მიაღწევენ მიზანს. ასევე მასწავლებელს ყოველ გაკვეთილზე მზად უნდა ჰქონდეს ისეთი აქტივობა, რომელიც დაეხმარება, განსაზღვროს, როგორ გაიგეს ბავშვებმა ახალი მასალა. ეს შეიძლება იყოს კითხვარი ღია და დახურული კითხვებით, სქემა 3, 2, 1, გასასვლელი ბარათები და ა.შ.

გიორგი ნოზაძე სტატიაში „განმავითარებელი შეფასების განხორციელების სტრატეგიები და მეთოდები“ **mastsavlebeli**.ge *13 დეკემბერი, 2013) გვაცნობს განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს:*

1. *სასწავლო მიზნებისა და წარმატების კრიტერიუმების ცხადად ჩამოყალიბება, გაზიარება და გააზრება მოსწავლეებთან ერთად;*
2. *ეფექტური საკლასო დისკუსიების, შეკითხვების, აქტივობებისა და დავალებების აგება, რომლებიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, გამოამჟღავნონ და მკაფიოდ წარმოაჩინონ ფაქტები სწავლის შესახებ;*
3. *მოსწავლეებისთვის ისეთი უკუკავშირის მიწოდება, რომელიც ხელს შეუწყობს მათ წინსვლას;*
4. *საკუთარ სწავლაზე მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გაზრდა;*
5. *მოსწავლეთა გააქტიურება, რომ ერთმანეთისთვის სასწავლო რესურსის როლი შეასრულონ.*

მასწავლებელი მოსწავლეებს უნდა აწვდიდეს ცხად, აღწერით, კრიტერიუმებზე დაფუძნებულ უკუკავშირს, რომელიც მათ მკაფიოდ აუხსნის:

- *“სად” არიან ისინი ამჟამად განვითარების საკუთარ ტრაექტორიაზე;*
- *რით განსხვავდება მასწავლებლის მიერ მიცემულ დავალებებზე მათი პასუხები დასახულ მიზნებში ნაგულისხმები (სანიმუშო) პასუხებისგან;*
- *როგორ შეიძლება წაიწიონ წინ, დასახული მიზნისკენ.*

მასწავლებლის მიერ მოსწავლისთვის მიწოდებული უკუკავშირი უნდა იყოს დროული, კონკრეტული, საკმაოდ დეტალური და მოიცავდეს რეკომენდაციებსაც იმის თაობაზე, როგორ წაიწიოს წინ, მიზნისკენ, მოსწავლემ, როგორ “ისწავლოს სწავლა”. მოსწავლეები გაცილებით მეტ სარგებლობას მიიღებენ უკუკავშირისგან, თუ იგი ფოკუსირებული იქნება დავალებაზე და არა ნიშნებზე ან ქულებზე; ახსნის, რატომ არის მართებული ან მცდარი ესა თუ ის დებულება ან

მოქმედება; დაკავშირებული იქნება სწავლის მიზნებთან, ცხადად წარმოაჩენს, რა არის უკვე მიღწეული და რა – ჯერ კიდევ მიუღწეველი; მოიცავს სპეციფიკურ სტრატეგიებს შედეგების გასაუმჯობესებლად. განმავითარებელი შეფასების განხორციელებისთვის საჭიროა შესაფერისი აქტივობების შერჩევა ან შექმნა.

აქედან დასკვნა: განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები მოსწავლემ და მასწავლებელმა არა მარტო ერთად უნდა შექმნან, არამედ ერთად უნდა გაიაზრონ, როგორ მოეხმარებათ ეს კრიტერიუმები როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს მიზნის მიღწევაში. განმავითარებელი შეფასება ეფექტურ უკუკავშირს ეფუძნება. ზეპირი თუ წერილობითი კომენტარი მოსწავლის შესრულებული დავალების შესახებ მოზარდს უნდა მიეწოდოს დროულად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის ელოდება შესრულებული დავალების შედეგს და თუ ასე არ მოხდება, მოსწავლეში ინტერესს ჩავკლავთ და მოტივაციასაც დავაქვეითებთ. თვითშეფასება და თანატოლის შეფასება მოსწავლეთა გააქტიურებას გამოიწვევს, რაც ხელს შეუწყობს მოზარდებს ერთმანეთისთვის რესურსის როლი შეასრულონ. ამრიგად, განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობაზე მრავალი და მრავალფეროვანი ლიტერატურაა შექმნილი. ფაქტია, რომ ამ საკითხით დაინტერესებულან არა მარტო ის ადამიანები, რომელთაც უშუალოდ ეხებათ პრობლემა, არამედ სხვადასხვა სფეროში მოღვაწენიც. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს პრობლემის აქტუალობას.

IV თავი. კვლევის დიზაინი

4.1. საკვლევი საკითხის კითხვები:

1. როგორ ეხმარება მოსწავლეს შედეგების გაუმჯობესებაში განმავითარებელი შეფასება?
2. რა ტიპის ინფორმაციას იღებს განმავითარებელი შეფასებით მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი?
3. როგორ შევარჩიოთ განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები და რა ინსტრუმენტები გამოვიყენოთ?
4. რა უპირატესობა აქვს განმავითარებელ შეფასებას განმსაზღვრელ შეფასებასთან შედარებით?
5. როგორ ეხმარება მოსწავლეს შედეგების გაუმჯობესებაში თვითშეფასება და თანატოლის შეფასება?

4.2. კვლევის სამიზნე ჯგუფი.

1. სკოლის მე-5 - მე-11 კლასის მოსწავლეები, სულ 320 მოსწავლე.

2. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, მათემატიკის მასწავლებლები (ნებისმიერი საგნის მასწავლებლები სურვილისამებრ)

3. სკოლის მე-5 - მე-11 კლასის მოსწავლეთა მშობლები.

4.3. კვლევის მეთოდები.

კვლევაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:
ანკეტირება - საკვლევი პრობლემის შესასწავლად მკვლევრებმა გადავწყვიტეთ, კითხვარების მეშვეობით გამოგვეკითხა მოსწავლეთა მშობლები, ვინაიდან სამიზნე ჯგუფის მშობლების ერთობლიობა დიდია, მათი აზრი მნიშვნელოვანია - პრობლემა ეხება ყველა მათგანის შვილს, თითოეულის აზრი გასათვალისწინებელია. 320 მშობლიდან კითხვარი შეავსო 292 მშობელმა, დანარჩენი კითხვარები კვლევის ჯგუფს არ დაბრუნებია სხვადასხვა მიზეზთა გამო (მოსწავლის დაუდევრობა, მშობელთა უარი შევსებაზე და ა. შ)
ფოკუს ჯგუფი – ფოკუს ჯგუფი შედგებოდა სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის მასწავლებლებისაგან. სულ 11 მასწავლებელი. ამ მეთოდი გამოყენების მიზანი იყო, დაგვედგინა პედაგოგების ზოგადი აზრი და ინტერესები განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით.
გამოკითხვა - კვლევის განმახორციელებლებმა გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა გამოკითხვა საგანმანათლებლო მიზნით სხვადასხვა კათედრაზე, რათა მიგვეღო პასუხები კითხვებზე: თუ რა ინფორმაციას ფლობდნენ მასწავლებლები განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეთა ცოდნის შესახებ, იყენებდნენ თუ არა განმავითარებელ შეფასებას თავიანთ პრაქტიკაში და რა შედეგებს აღწევდნენ და რა არის მათი შერჩეული განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმებისა და ინსტრუმენტების უპირატესობა.
უბრალო დაკვირვება - მოსწავლეების მიმართ გამოყენებული იყო უბრალო დაკვირვების მეთოდი, რათა დაგვენახა, როგორ რეაგირებენ ისინი განმავითარებელ შეფასებაზე, როდის იწევდა მათი შინაგანი მოტივაცია და როგორ უმჯობესდებოდა მათი შედეგები განმავითარებელ შეფასებით.
მეორადი მონაცემების ანალიზი - შევაგროვეთ სადიაგნოსტიკო ტესტის შემდეგ მიღებული ინფორმაციები და გამოირკვა მოსწავლეთა ძირითადი საჭიროებები. განმავითარებელი შეფასება მკაფიოდ ავლენს მოსწავლის ყველა კონკრეტულ სესაძლებლობას.

4.4. კვლევის ვადები.

#	აქტივობა	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
1	პრობლემის იდენტიფიცირება	X									
2	კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	X									
3	არსებული მონაცემების შეგროვება	X								X	
4	არსებული მონაცემების ანალიზი	X									
5	დაკვირვება მოსწავლეებზე	X	X	X	X	X	X	X	X	X	
6	მშობელთა კითხვარების შექმნა		X								
7	მოსწავლეთა კითხვარების შექმნა		X								
8	კვლევის განმახორციელებელთა შეხვედრები		X	X	X	X	X	X	X	X	X
8	ფოკუს ჯგუფი		X								
9	კოლეგების გამოკითხვა		X								
10	მიღებული შედეგების ანალიზი		X								
11	სავარაუდო ინტერვენციების განხილვა			X				X		X	
12	ინტერვენციის განხორციელება				X	X	X	X	X	X	
13	ინტერვენციის შედეგების ანალიზი									X	
14	პრეზენტაცია სასაკოლო საზოგადოებასთან, შედეგების გაცნობა										X

V თავი. კვლევის შედეგები.

5.1. მონაცემთა ანალიზი.

იმისათვის, რომ განგვესაზღვრა, რა როლს შეასრულებს განმავითარებელი შეფასება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაში, ამისათვის ავიღეთ 2017-2018 სასწავლო წლის შეფასებები, მოსწავლეთა უმეტესობის შედეგები სემესტრიდან სემესტრამდე და მთელი სასწავლო წლის განმავლობაში არ იცვლება. კლასში 2-3 მოსწავლე აღმოჩნდა, რომელთა შედეგები წლის განმავლობაში უკეთესობისაკენ შეიცვალა, ხოლო დანარჩენი მოსწავლეების შედეგები არ შეცვლილა, ან თუ

შეიცვალა, უფრო დაბალი აღმოჩნდა, ვიდრე იყო. ნათელი გახდა, რომ აუცილებელი იყო რაღაც ინტერვენციების განხორციელება, რათა მოსწავლეთა შედეგები შეცვლილიყო უკეთესობისაკენ როგორც საკლასო, საშინაო, ისე შემაჯამებელ დავალებების შესრულებისას. ამისათვის საჭიროდ ჩავთვალეთ, გამოგვეკვლია, რა იცოდნენ ბავშვებმა თავიანთი ცოდნის შესახებ მინიჭებული განმსაზღვრელი შეფასებით, მიღებული ქულით მოსწავლის კონკრეტულად რა უნარი იყო შეფასებული და რომელ შეფასებას მიანიჭებდნენ უპირატესობას, რომელი შეფასება მოეხმარებოდა მათ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარის გამოვლენასა და საჭიროებების დადგენაში.

დავგეგმეთ, აგრეთვე, მშობელთა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო, დაგვედგინა, რა ინფორმაციას ფლობდნენ მშობლები თავიანთი შვილების ცოდნის შესახებ სემესტრის ან წლიური განმსაზღვრელი შეფასების მიხედვით, როგორ ახერხებდნენ შვილის უნარ-ჩვეების, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას. ამ გამოკითხვის შედეგები უნდა შეგვედარებინა ჩვენი დაკვირვების შედეგებზე, რათა შეგვედგინა მოსწავლის უნარებზე მორგებული შეფასება და დაგვედგინა განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები და შეფასების ინსტრუმენტები.

<u>მშობელთა გამოკითხვის შედეგები</u>

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 292 მშობელმა. შედეგები ასე გადანაწილდა:




მოსწავლეთა შეფასება ობიექტურია?
არაობიექტურია, 53, 16%
ნაწილობრივ, 79, 25%
ობიექტურია, 188, 59%


რომელი შეფასებაა მნიშვნელოვანი
ქულები საჭირო არ არის, 72, 25%
განმსაზღვრელი, 90, 31%
განმავითარებელი, 130, 44%


განმსაზღვრელი შეფასებით ვადგენ
შვილის ძლ. და სუსტ მხ, 74, 25%
განმსაზღ შეფას. ვერა, 114, 39%
ნაწილობრივ, 104, 36%


განმავითარებელი შეფასებით ვიგებ
ამ შეფასებით შეუძლებელია, 20, 7%
შვილის ძლიერ და სუსტ მხარეს, 186, 64%
ნაწილობრივ ვგებულობ, 86, 29%


განმსაზღვრელი შეფასებით უნდა ფასდებოდნენ
არავითარ მნიშ. არ ვანიჭებ, 9, 3%
კვირაში ერთხელ, 123, 42%
ყოველდღე, 160, 55%


განმავითარებელი შეფასებით უნდა ფასდებოდნენ
მნიშვნელობა არ აქვს, 0, 0%
ელ დღე, 135, 46%
კვირაში ერთხელ, 157, 54%


განმავითარებელი შეფასბა ეხმარება მოსწავლეს
არ ეხმარებ, 0, 0%
ნაწილობრივ, 25, 9%
სუსტი მხარეების დაძლევაში, 267, 91%


განმავითარებელი შეფასება ეხმარება მშობელსა და მასწავლებელს
არაფერი იცვლება, 36, 12%
თანამშრომლობაში, 189, 65%
ნაწილობრივ, 67, 23%



მშობელთა გამოკითხვისა და შედეგების დაჯამების შედეგად ასეთი სურათი მივიღეთ: მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ, გაგვეგო, როგორ გებულობენ მშობლები შვილების აკადემიური მოსწრების შესახებ. აღმოჩნდა, რომ გამოკითხული 292 მშობლიდან უმეტესობა 165 ადამიანი, რაც გამოკითხულთა 57%-ია, თითქმის ნახევარზე მეტი, შვილის შედეგების შესახებ ინფორმაციას დამრიგებლისაგან ღებულობს, რაც ადასტურებს, რომ მშობლები თავს არიდებენ სკოლაში მოსვლას და, დამრიგებლის გარდა, სხვა მასწავლებლებთან თანამშრომლობას. ასეთი „გაბედული", რომელიც თავად ინტერესდება შვილის შედეგებით - 88 ადამიანია, ანუ გამოკითხულთა 30%. სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებიც საერთოდ არ ინტერესდებიან ბავშვების შედეგებით, არის 39 ადამიანი, შეიძლება სავარაუდოდ ისიც ვიფიქროთ, რომ უბრალოდ დარწმუნებული არიან, რომ შვილი მის ჩაურევლადაც წარმატებით გაართმევს თავს სირთულეებს.

მშობელთა 59%-ს ეჭვი არ ეპარება, რომ შვილის შეფასება მასწავლებლების მიერ ობიექტურია, ამ აზრის მქონე 188 ადამიანია, 79(25%) მშობელი დარწმუნებული არ არის შვილის შეფასების ობიექტურობაში, ხოლო 53(16%) კი განმსაზღვრელ შეფასებას არაობიექტურად მიიჩნევს. მშობელთა კითხვარს თან დავურთეთ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებათა განმარტება, რათა მათთვის ცხადი ყოფილიყო რა სახის შეფასებები გამოიყენება მისი შვილის შეფასებისას სასწავლებელში. ამიტომ დავინტერედით, რომელ მათგანს მიანიჭებდა უპირატესობას. კითხვარის ერთ-ერთ პასუხში ისიც დავუშვით, თუ არ იქნებოდა მოსწავლეთა შეფასება, რა აზრს გამოთქვამდნენ მშობლები. 90 მშობელი, 31 %განმსაზღვრელ შეფასებას ანიჭებს უპირატესობას, 72, რაც საერთო გამოკითხვის მეოთხედია, თვლის, რომ შეფასება ქულებით საერთოდ არ არის საჭირო. განმავითარებელ შეფასებას კი 130, 44% ემხრობა. აშკარაა, რომ განმსაზღვრელი შეფასება მაინც მნიშვნელოვანია მშობლებისათვის. როცა მშობლები აირჩევდნენ მათთვის მოსაწონი შეფასების კატეგორიას, საინტერესოდ ჩავთვალეთ, გვეკითხა, კონკრეტულად რა ინფორმაციას ღებულობდნენ შვილის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აღნიშნული ქულით. დავადგინეთ, რომ მშობლები თვლიან, განმსაზღვრელი შეფასებებით ეს შეუძლებელია, გაარკვიონ შვილის შესაძლებლობის

ძლიერი და სუსტი მხარეები, იციან მხოლოდ ქულა და არა ის, თუ რა ცოდნასა და უნარებს ფლობს მოზარდი. 74 ადამიანი ამტკიცებს, რომ განმსაზღვრელი შეფასებებით შეუძლია, გაარკვიოს შვილის შესაძლებლობის ძლიერი და სუსტი მხარეები, 114 ადამიანი კი დარწმუნებულია, განმსაზღვრელი შეფასებებით ეს შეუძლებელია, ხოლო 104 ადამიანი კი თვლის, რომ ნაწილობრივ აწვდის ინფორმაციას. სამაგიეროდ ვნახოთ, როგორაა საქმე განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში: 168 მშობელი (64%) სწორედ განმავითარებელი შეფასებით გებულობს შვილის შესაძლებლობის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, 7% იგივე 20 ადამიანი თვლის, რომ ამ შეფასებით ვერაფერს გებულობს შვილის ცოდნისა და უნარჩვევების შესახებ. ნაწილობრივ იგებს 86, ანუ 29%. კვრაში ერთხელ შეფასება, მშობლების აზრით, გაანმსაზღვრელი შეფასებით საკმარისია. ასე ფიქრობს 160 კაცი(55%), განმსაზღვრელ შეფასებას მნიშვნელობას არ ვანიჭებ - ამბობს 9 აადამიანი, 3%, ხოლო კვირაში ერთხელ ბავშვების შეფასების მომხრე 123 ადამიანია,42%. ყოველდღე განმავითარებელი შეფასების მომხრეა გამოკითხულთა 46%(135 ადამიანი), ხოლო კვირაში ერთხელ - 54%, მშობელთა 0%-ია, ვისთვისაც მნიშვნელობა არ აქვს, რა ხანგრძლივობით უნდა ფასდებოდნენ ბავშვები. მრავალი მშობლის აზრით (267 – 91%), განმავითარებელი შეფასება ყველაზე მეტად ეხმარება მოსწავლეს სუსტი მხარეების დაძლევაში, ნაწილობრივ რომ ეხმარება, ამას ემხრობა მხოლოდ 25 მშობელი. განმავითარებელი შეფასება მშობელსა და მასწავლებელს ხელს უწყობს თანამშრომლობაში, რათა ერთად იზრუნონ მოზარდის ძლიერი მხარეების გამომჟღავნებასა და სუსტი მხარეების გამოსწორებაში - ამას ემხრობა 189 ადამიანი(65%), ნაწილობრივ ეხმარება 36 ადამიანი ფიქრობს(29%), რომ მათ ურთიერთობაში არაფერი იცვლება, 23% იზიარებს მოსაზრებას, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ისევ დისტანციური დამოკიდებულებაა. უმრავლეს მშობელთა აზრით (207 – 71%), მოსწავლის შემოქმედებითი, დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში განმავითარებელი შეფასება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. 26%(77) ნაწილობრივ მნიშვნელოვანიაო, რადგან ქულებსაც აქცევენ ყურადღებას, 8 (3%) ადამიანი თვლის, რომ არ არის მნიშვნელოვანი და მაინც ქულას ანიჭებს მნიშვნელობას.

ამჯერად მოსწავლეთა ნაზრევს განვიხილავთ:




მონაწილეობთ კრიტერიუმების შერჩევაში?
მოსწავლეები ადგენენ
19
მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად
56
მასწავლებელი ადგენს
245


რომელ შეფასებას ანიჭებთ უპირატესობას
ქულებით შეფასება არ უნდა იყოს
50
განმავითარებელი
160
განმსაზღვრელი
120


რომელ შეფასებას დანერგავდით?
ქულები საჭირო არ არის
35
განმავითარებელს
155
განმსაზღვრელს
130


განმავითარებელი შეფასების უპირატესობა
ცოდნის დონეს ამაღლებს
63
მოტივაციას ამაღლებს
100
მოსწ. იცის,რა გამოასწოროს
157


განმსაზღვრელი შეფასების უპირატესობა
ცოდნის დონეს ამაღლებს
147
მოტივაციას ამაღლებს
140
მოსწ. იცის კონკრ. რა გამოასწოროს
33


მშობელმა უნდა იცოდეს თქვენი შეფასების შესახებ
არ უნდა იცოდეს
41
ნაწილობრივ
59
უნდა იცოდეს
220


მშობელი მეტ ინფორმაციას იგებს
მასწ.ხშირი კონტაქტით
60
განმავით. შეფასებით
160
ქულებით
120


განმავითარებელი შეფასებას მასწ. უნდა იყენებდეს
თვეში 2-ჯერ
30
კვირაში ერთხელ
120
ყოველდღე
170


განმსაზღვრელ შეფასებას მასწ. უნდა იყენებდეს
თვეში 2-ჯერ
50
კვირაში ერთხელ
170
ყოველდღე
100

გამოიკითხა 320 მოსწავლე. მათი უმეტესობა, ადასტურებს, რომ მასწავლებლის დაწერილი შეფასება ობიექტურია(250 მოსწავლე), 70 მათგანი თვლის, რომ შეფასება ნაწილობრივ ობიექტურია. მინდა კოლეგების სასახელოდ ვთქვა, რომ არაობიექტური შეფასება მასწავლებლებისაგან არავის დაუფიქსირებია. მოსწავლეები უნდა მონაწილეობდნენ შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრაში. ეს მათ პასუხისმგებლობასა და მოტივაციას უმაღლებს. 245 მოსწავლე ამბობს, რომ თავად მასწავლებელი ადგენს შეფასების კრიტერიუმებს, ეს გასათვალისწინებელია. 56 მოსწავლე ადასტურებს, რომ მასწავლებელთან ერთად ადგენს, მინდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ არიან კოლეგები, რომლებიც ბავშვებს ანდობენ, თავად განსაზღვრონ რომელი კრიტერიუმებით სურთ, შეფასდნენ. ეს პასუხი 19 მოსწავლემ დააფიქსირა. მოსწავლეთა უმეტესობა ამტკიცებს, რომ განმავითარებელი შეფასებაა უპირატესი, რადგან დაწვრილებით იგებენ ინფორმაციას თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, ეს ეხმარება მათ, რეალური და სამართლიანი თვითშეფასების ჩამოყალიბებაში, ადგენენ საჭიროებებს და ადვილად ძლევენ დაბრკოლებებს. ფაქტია, რომ მოსწავლეები განმსაზღვრელი შეფასებით, ვერ იგებენ, კონკრეტულად რა აქვთ გამოსასწორებელი, თუმცა აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელიც და განმავითარებელი შეფასება მათ მოტივაციასაც უმაღლებთ და ცოდნის დონესაც. ბავშვების უმეტესობა აღნიშნავს, რომ მშობელმა უნდა იცოდეს მისი შედეგების შესახებ, ისინი აღნიშნავენ, რომ განმავითარებელი შეფასება მასაც ეხმარება საკუთარი სუსტი მხარეების დადგენაში და მშობელსაც. დაბოლოს, ბავშვების სურვილს თუ გავითვალისწინებთ, რომელ შეფასებას დანერგავდითო, უპირატესობა განმავითარებელ შეფასებას ერგო - 155 ხმა, 130 მოსწავლე მომხრეა განმსაზღვრელი შეფასების. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მოსწავლის შედეგები საბოლოოდ ქულით ფიქსირდება, თუმცა არიან ისეთი მოზარდებიც, 35 ადამიანი, რომლებიც თვლიან, რომ ქულების დაწერა სავალდებულო სულაც არ არის.

დავგეგმეთ კათედრის სხდომა, განვიხილეთ შედეგები და გადავწყვიტეთ, სადიაგნოსტიკო ტესტის ჩატარება V-XI კლასებში, რათა დაგვედგინა მოსწავლეთა საჭიროებები. შევადგინეთ შეფასების კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შეფასდებოდნენ მოსწავლეები. განმსაზღვრელი შეფასება იმიტომ მივუთითეთ, რომ მოსწავლეებს ზუსტად სცოდნოდათ შეფასების რუბრიკაში ჩაშლილი კრიტერიუმის წონა. შევარჩიეთ ესგ-ის მიხედვით დავალება, რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტებს შეესაბამებოდა ყველა კლასში ასაკის გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით. მოსწავლეებს უნდა დაეწერათ ესე: „ზოოპარკები არ უნდა არსებობდეს!“ მივეცით ინსტრუქცია, კრიტერიუმების მიხედვით.

შენიშვნა: კრიტერიუმები მოსწავლეებთან ერთად შევიმუშავეთ

შეფასების რუბრიკა:

#	კრიტერიუმები	ქულა
1.	დავალება ადეკვატურად გაიგო	1
2.	აზრს ნათლად, გასაგებად აყალიბებს	2
3.	იყენებს სასაუბრო თემისთვის შესაბამის ლექსიკას	1
4.	ამჟღავნებს შემოქმედებით უნარს	2
5.	მეტყველების დროს იყენებს შესწავლილი ნაწარმოებების ლექსიკას, მხატვრულ ხერხებს	1
6.	იცავს გრამატიკულ ნორმებს	2
7.	სწორად სვამს სასვენ ნიშნებს	1

უნდა ემსჯელათ, ეთანხმებოდნენ თუ ეწინააღმდეგებოდნენ აღნიშნულ მოსაზრებას.





შევაფასეთ განმსაზღვრელი შეფასებით და დავაჯამეთ ის შეცდომები, რომლებსაც მოსწავლეები ყველაზე ხშირად უშვებდნენ წერის დროს სხვადასხვა კლასში და გამოვკვეთეთ არსებითი.
კრიტერიუმების გაანალიზების შემდეგ გადავწყვიტეთ, დაგვეჯამებინა, მოცემული კრიტერიუმების გარდა შეცდომები უფრო მრავლად გამოიკვეთა, ტიპური შეცდომებია:
ა) არ გამოყოფენ აბზაცებს.
ბ) უჭირთ რთული სიტყვების მართლწერა(დედა-შვილობა, ბეწვ დაცვრნილი, ინტერნეტ ინფორმაცია, კინო-ფილმი).
გ) ხშირია ტავტოლოგია(მოცემულია ნაწყვეტი... რომელშიც გადმოცემულია)
დ) პირის ნიშანთა მართლწერა(სდგას, ქვია, თხოვა, ყავს...)
ე) ვით. ბრ-ის მართლწერა(ძლიერათ, კონკრეტულათ, მშვიდათ, სატანჯველათ...)
ვ) სტილისტური შეცდომები(ხდება ცხოველების დაპატიმრება, ადგილი ჰქონდა უფლებების დარღვევას)
ზ) მსაზღვრელ-საზღვრულისა და შემასმენელ-ქვემდებარის რიცხვში შეთანხმება(სხვადასხვა ცხოველები, დათვი და სპილო გალიაში იყო)
თ) ტექნოლოგიების ზეგავლენა(დგეს, ენდზელა, უფატრონო)

როდესაც აღნიშნული ტესტირების შედეგები გავაანალიზეთ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა თავთავიანთ კლასებში მიაწოდეს განმავითარებელი შეფასება მოსწავლეებს, წერილობითი კომენტარით კონკრეტულად მიუთითეს არა მარტო კრიტერიუმების მიხედვით დაშვებულ შეცდომებზე, არამედ იმ ტიპურ შეცდომებზეც, რომლებიც ტესტირების შემდეგ გამოიკვეთა განმავითარებელი შეფასების შედეგად. ამის შემდეგ კონკრეტულად გადავანაწილეთ დავალებები კლასების მიხედვით და თითოეული კრიტერიუმის მიხედვით მოსწავლეებს მივეცით ინსტრუქცია, როგორ შეესრულებინათ მომდევნო დავალება: დაწერეთ ესე შესწავლილი ტექსტის შესახებ, თავად ამოერჩიათ ნაწარმოები და დაეწერათ, რით იყო მნიშვნელოვანი ეს ნაწარმოები, რა მოეწონათ და რა არ მოეწონათ. კლასების მიხედვით აღვნიშნავ მოსწავლეთა რაოდენობას:
5 კლასი - სულ 60 მოსწავლე, მე-6 კლასი - 40 მოსწავლე, მე-7 – 40 მოსწავლე, მე-8 – 50 მოსწავლე, მე-9 – 50 მოსწავლე, მე-10 – 40 მოსწავლე, მე-11 – 40 მოსწავლე.

კრიტერიუმები:

#	კრიტერიუმები	
1.	დავალება ადეკვატურად გაიგო - გამოყოფს, რა მოეწონათ, პერსონაჟის რა თვისებები დაამახსოვრდათ	ამომწურავად სცემს პასუხს
		ნაწილობრივ სცემს პასუხს
		უჭირს პასუხის გაცემა
2.	აზრს ნათლად, გასაგებად აყალიბებს - საუბრისას იყენებს მხატვრულ ხერხებს, იმდიდრებს ლექსიკას	ამომწურავად სცემს პასუხს
		ნაწილობრივ სცემს პასუხს
		უჭირს პასუხის გაცემა

3.	იცავს ტექსტის არქიტექტონიკას - გამოყოფს აბზაცებს	გამოყოფს აბზაცებს დანიშნულებისამებს
		ზოგჯერ გამოყოფს აბზაცებს
		უჭირს აბზაცების
4.	ამჟღავნებს შემოქმედებით უნარს - შეუძლია თავისი შეხედულებების ჩამოყალიბება არგუმენტებით	ამომწურავად სცემს პასუხს
		ნაწილობრივ სცემს პასუხს
		უჭირს პასუხის გაცემა
5.	იცავს გრამატიკულ ნორმებს - სწორად სვამს სასვენ ნიშნებს, რთული სიტყვების მართლწერა, მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება, ქვ. და შემასმ. შეთანხმება რიცხვში, იცავს ვით.ბრ-ის ნიშნის მართლწერას	ამომწურავად სცემს პასუხს
		ნაწილობრივ სცემს პასუხს
		უჭირს პასუხის გაცემა
6.	არ დაუშვას სტილისტური ხარვეზები	ამომწურავად სცემს პასუხს
		ნაწილობრივ სცემს პასუხს
		უჭირს პასუხის გაცემა
7.	სწორად სვამს სასვენ ნიშნებს	


V კლასში: რ. ინანიშვილის „მუხა“
სწორად სვამს სასვენ ნიშნებს
8
იცავს გრამატიკულ ნორმებს
25
მდიდარი ლექსიკა
20
ამჟღავნებს შემოქმედებით უნარს
33
იყენებს შესაბამის ლექსიკას
48
აზრს ნათლად აყალიბებს
42
დავალლება ადეკვატურად გაიგო
42


VI კლასი აკაკი წერეთლის „გიმნაზიაში“
სწორად სვამს სასვენ ნიშნებს
10
იცავს გრამატიკულ ნორმებს
20
მდიდარი ლექსიკა
20
ამჟღავნებს შემოქმედებით უნარს
33
იყენებს შესაბამის ლექსიკას
32
აზრს ნათლად აყალიბებს
32
დავალლება ადეკვატურად გაიგო
32


VII კლასში: ნ. დუმბაძის „სისხლი“
სწორად სვამს სასვენ ნიშნებს
8
იცავს გრამატიკულ ნორმებს
12
მდიდარი ლექსიკა
18
ამჟღავნებს შემოქმედებით უნარს
20
იყენებს შესაბამის ლექსიკას
28
აზრს ნათლად აყალიბებს
26
დავალლება ადეკვატურად გაიგო
30


VIII კლასი ნ. დუმბაძის „ბოშები“
სწორად სვამს სასვენ ნიშნებს
25
იცავს გრამატიკულ ნორმებს
12
მდიდარი ლექსიკა
22
ამჟღავნებს შემოქმედებით უნარს
30
იყენებს შესაბამის ლექსიკას
36
აზრს ნათლად აყალიბებს
36
დავალლება ადეკვატურად გაიგო
36


IX კლასი აკაკი წერეთლის „კუდაბზიკეთი“
სწორად სვამს სასვენ ნიშნებს
12
იცავს გრამატიკულ ნორმებს
20
მდიდარი ლექსიკა
20
ამჟღავნებს შემოქმედებით უნარს
30
იყენებს შესაბამის ლექსიკას
28
აზრს ნათლად აყალიბებს
28
დავალლება ადეკვატურად გაიგო
32


X კლასი: სულხან-საბა ორბელიანის „მეფე ხორასნისა“
სწორად სვამს სასვენ ნიშნებს
16
იცავს გრამატიკულ ნორმებს
16
მდიდარი ლექსიკა
18
ამჟღავნებს შემოქმედებით უნარს
20
იყენებს შესაბამის ლექსიკას
28
აზრს ნათლად აყალიბებს
30
დავალლება ადეკვატურად გაიგო
30



ამის შემდეგ კიდევ ჩავატარეთ კათედრის სხდომა. დავაჯამეთ და შევადარეთ შედეგები. საშინაო და საკლასო სამუშაობი, წერითი და ზეპირი დავალებების შესრულებისას ვიყენებდით განმავითარებელ შეფასებას. ვაწარმოებდი დაკვირვების დღიურს, მოსწავლეებს პერიოდულად ვაძლევდი სიტყვიერ კომენტარს, ვაკეთებდი ჩანაწერებს და გადავწყვიტე, შუალედური ტესტირების ჩატარება. ამჯერად მოსწავლეებს შევთავაზეთ საინფორმაციო ტექსტები (თან ახლავს), რომლის შესახებაც უნდა ემსჯელათ ბავშვებს, რით იყო ეს ტექსტი სასარგებლო და საინტერესო, მათ უნდა გაესწორებინათ შეცდომები, ტექსტი სწორი ფორმით უნდა გადაეწერათ, დაეფიქსირებინათ სტილისტური ხარვეზები. იმავე კლასებში ჩავატარე შუალედური ტესტირება.




VI კლასი - საწერი საშუალებები
სწორად სვამს სასვენ ნიშნებს
იცავს გრამატიკულ ნორმებს
მდიდარი ლექსიკა
ამჟღავნებს შემოქმედებით უნარს
იყენებს შესაბამის ლექსიკას
აზრს ნათლად აყალიბებს
დავალლება ადეკვატურად გაიგო
19
10
27
20
27
20
37
33
39
32
37
32
38
32
II ტესტი
I ტესტი


VII კლასში: დმანისი
სწორად სვამს სასვენ ნიშნებს
იცავს გრამატიკულ ნორმებს
მდიდარი ლექსიკა
ამჟღავნებს შემოქმედებით უნარს
იყენებს შესაბამის ლექსიკას
აზრს ნათლად აყალიბებს
დავალლება ადეკვატურად გაიგო
15
8
16
12
24
18
26
20
33
28
30
26
34
30
II ტესტი
I ტესტი


VIII კლასი: დმანისი
სწორად სვამს სასვენ ნიშნებს
31
25
იცავს გრამატიკულ ნორმებს
17
12
მდიდარი ლექსიკა
27
22
ამჟღავნებს შემოქმედებით უნარს
36
30
იყენებს შესაბამის ლექსიკას
43
36
აზრს ნათლად აყალიბებს
43
36
დავალლება ადეკვატურად გაიგო
42
36
II ტესტი
I ტესტი


IX კლასი: სამშვილდე
სწორად სვამს სასვენ ნიშნებს
17
12
იცავს გრამატიკულ ნორმებს
27
20
მდიდარი ლექსიკა
24
20
ამჟღავნებს შემოქმედებით უნარს
33
30
იყენებს შესაბამის ლექსიკას
33
28
აზრს ნათლად აყალიბებს
33
28
დავალლება ადეკვატურად გაიგო
38
32
II ტესტი
I ტესტი





მონაცემთა ანალიზის შემდეგ დავგეგმეთ ფოკუს ჯგუფი მათემატიკისა და ქართული ენის მასწავლებლებთან. ჩამოვაყალიბეთ ფოკუს ჯგუფის კითხვები:

- რა სიხშირით იყენებენ განმავითარებელ შეფასებას გაკვეთილზე.
- რა უპირატესობა აქვს განმავითარებელ შეფასებას განმსაზღვრელ შეფასებასთან შედარებით.
- როგორ ეხმარებათ განმავითარებელი შეფასება მოსწავლეების შედეგების გასაუმჯობესებლად.
- რა მეთოდებს და აქტივობებს იყენებენ მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების საწარმოებლად.
- განმავითარებელი შეფასების რა კრიტერიუმები უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა მოსწავლეთა სწავლის ხარისხის ასამაღლებლად.

ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდა 6 მათემატიკისა და 5 ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. თითოეულ მათგანს 15 წელზე მეტი სტაჟი აქვს. ფოკუს ჯგუფის მიმდინარეობისას გამოიკვეთა შემდეგი მოსაზრებები:

- მასწავლებლების უმეტესობამ აღნიშნა, რომ უფრო მეტი სიხშირით იყენებენ განმსაზღვრელ შეფასებას, რადგან ქულის დაწერას ნაკლები დრო სჭირდება, მოსწავლეები კრიტერიუმებს წინასწარ იცნობენ, ამდენად ეს პროცესი მოქნილი და მოსახერხებელია. განმავითარებელი შეფასების დროს კი თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებია გასათვალისწინებელი და თითოეულ მათგანს თავისი საჭიროებისამებრ უნდა მიეცეს ეფექტური უკუკავშირი.
- განმავითარებელ შეფასებას ის უპირატესობა აქვს, რომ მასწავლებელი ადგენს თითოეული მოსწავლის სუსტ და ძლიერ მხარეებს და მასთან ერთად გეგმავს შედეგების გაუმჯობესების გზებს.
- მასწავლებელი განმავითარებელი შეფასების შედეგებს იყენებს სასწავლო პროცესის უკეთ დასაგეგმად, საკუთარი მეთოდების დადებითი და ყარყოფითი მხარის შესაფასებლად და შესაბამისად ცვლის სწავლების სტრატეგიებს.
- განმავითარებელი შეფასების საწარმოებლად მასწავლებლები ეცნობიან კოლეგების გამოცდილებებს, ატარებენ გაკვეთილს ინოვაციური მეთოდებით, ესწრებიან კოლეგების მიერ ირგანიზებულ სამუშაო შეხვედრებს აღნიშნულ თემაზე. მონაწილეობენ მასწავლებლის სახლის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში და დაგროვილი ცოდნითა და გამოცდილებით გეგმავენ სხვადასხვა ინსტრუმენტს: „3, 2, 1," გასასვლელი(შესასვლელი) ბარათები, „დიდი და მცირე წრე", დაკვირვების დღიური, „მოსიარულე" დაფა და სხვა.
- სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.
- შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკები, ანუ კრიტერიუმების ბადე.

5.2. ძირითადი მიგნებები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა:

- ✓ მოსწავლებს არ აქვთ კონკრეტული ინფორმაცია საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესახებ.
- ✓ დაბალია მოსწავლეთა თვითშეფასება.
- ✓ განმავითარებელი შეფასება უნდა ეძლეოდეს მოსწავლეს სწავლა-სწავლების ყველა ეტაპზე, რათა შეფასდეს მისი რაც შეიძლება მეტი უნარი.
- ✓ განმავითარებელი შეფასებით უნდა განსაზღვროს მოსწავლემ, რის გაკეთება სჭირდება უკეთესი შედეგის მისაღწევად.
- ✓ კათედრაზე უნდა დადგინდეს, რა სიხშირით შევაფასოთ მოსწავლე განმსაზღვრელი შეფასებით.

5.3. ინტერვენციები

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციისა და მონაცემების ანალიზის საფუძველზე დავგეგმეთ ინტერვენციები მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად:

- კათედრაზე შევთანხმდით, მოსწავლეებს შევთავაზოთ ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლის სხვადასხვა უნარის გამომჟღავნებას და ცოდნის რეალიზებას, რაც განაპირობებს ესგ-ით განმსაზღვრელი შეფასების შედეგების გაუმჯობესებას.
- მოსწავლეები ჩავრთოთ განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების შედგენაში.
- ესგ-ისა და სასკოლო სასწავლო გეგმების მიხედვით დაკვირვების დღიურს წარმოება და მოსწავლეთა შედეგების აღნუსხვა. შუალედური ტესტის ჩატარება და მონიტორინგი(ისევ დავავალეთ ესეს დაწერა, ოღონდ განსხვავებული თემატიკით.
- უნდა განისაზღვროს განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები და ინსტრუმენტები: სქემები, გასასვლელი(შესასვლელი) ბარათები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარები.
- კათედრებზე შემუშავდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების სიხშირე (მაგ.: კვირაში ერთხელ, თემატური ერთეულის გავლის შემდეგ, თვის ბოლოს...)

VI თავი. ინტერვენციების შეფასება

6.1 ინტერვენციების შედეგების შეფასების მეთოდები

დაგეგმილი ინტერვენციები ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ინფორმაციის დაგროვებაში საკუთარი ცოდნისა და საჭიროებების შესახებ. შეთავაზებული აქტივობებით შეძლებენ თავიანთი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რეალიზებას, რაც გააუმჯობესებს ესგ-ით განმსაზღვრულ შედეგებს. მოსწავლეების ჩართვა შეფასების რუბრიკების შექმნაში ხელს შეუწყობს მათივე პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას, დამოუკიდებელ აზროვნებას, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას, სამართლიანი შეფასებისა და თვითშეფასების ჩამოყალიბებას. განმავითარებელი შეფასება სხვადასხვა მიმართულებით გარკვეული სიხშირით მოსწავლეებში განავითარებს სხვადასხვა უნარს, დაკვირვების დღიურის წარმოება, ეტაპობრივი ტესტირება და მონიტორინგი მოსწავლეს საშუალებას მისცემს თავად დარწმუნდეს საკუთარ წინსვლაში. შეთავაზებული კრიტერიუმებითა და ინსტრუმენტებით მოსწავლე განსაზღვრავს, კონკრეტულად რა ცოდნას და უნარებს ფლობს და დაადგენს, კიდევ რის სწავლა სჭირდება შედეგების გასაუმჯობესებლად.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სიხშირე მოსწავლეს საშუალებას აძლევს შეასრულოს დავალება, დააფიქსიროს საკუთარი ნაზრევი(თუნდაც მცდარი), რწმუნდება, სირთულის შემთხვევაში მასწავლებელი დაეხმარება უკეთესი შედეგის მისაღწევად, შეფასებას არ აღიქვამს, როგორც დასჯის მექანიზმს, აქცენტი არ გადააქვს ქულაზე, ხდება უფრო თავდაჯერებული და თამამად აფიქსირებს საკუთარ პოზიციას. ეს ხელს შეუწყობს ურთიერთთანამშრომლობას, ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას მოსწავლესა და მასწავლებლებს შორის..

კრიტერიუმების დაკონკრეტება გამოიწვევს მოსწავლეთა ადეკვატურ შეფასებას. ჩატარებული ტესტირების შედეგად მოხდა ხარვეზების იდენტიფიცირება მოსწავლეთა ცოდნასა და უნარ-ჩვევებში შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით. დავგეგმეთ დამატებითი ტესტირება ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რომელთა გადაჭრაც გულისხმობს ალტერნატიული გზების ძიებას, მოითხოვს

მოსწავლისგან კვლევას, ანალიზს. მოსწავლეთა ნამუშევრების შემოწმება და მათთვის განმავითარებელი შეფასების მიცემა ხელს უწყობდა, მოსწავლეს გაეგო თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და გაეთვალისწინებინა ის მომავალში. აღნიშნული ინტრევენციების შესაფასებლად გამოვიყენე იგივე მეთოდები, რაც კვლევის დასაწყისში. მონაცემთა ანალიზი დამეხმარა მოსწავლეთა შედეგების დინამიკის დანახვაში.

6.2. ინტერვენციების შეფასება.

V - XI კლასებში ჩატარდა პოსტტესტი. მოსწავლეებს დაურიგდათ დავალება კლასების მიხედვით - რედაქტირებისათვის პატარა ტექსტი და დაევალათ დასაწერად საკუთარი შთაბეჭდილების დაწერა მოცემულ ინფორმაციულ ტექსტზე. მოსწავლეებს მიეცათ ინსტრუქცია, რის შესახებ უნდა ემსჯელათ თავიანთ ნაშრომში. ერთად შევარჩიეთ კრიტერიუმები ბოლოს განმსაზღვრელი შეფასებით. მოცემულ კრიტერიუმში შესწორებაც შევიტანეთ და ამის შემდეგ ასე დავაჯამეთ შედეგები: ამჯერად, როდესაც შედეგებს ვამოწმებდი, შევნიშნე, რომ მოსწავლეები თანდათან კი იმდიდრებენ ლექსიკას, სინონიმებსაც იყენებენ ხშირად, წერის დროს იმოწმებდნენ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს. მაგრამ ისევ აქილევსის ქუსლად რჩება სასვენი ნიშნების სწორად დასმა, აბზაცების გამოყოფა და სტილისტური ხარვეზები. ერთმა უკიდურესობამაც იჩინა თავი: ტექსტში ფრაზეოლოგიზმები, პარონიმები და ზოგიერთი ტერმინი არასწორად გამოიყენეს, ან ტექსტში შეცდომად ვერ ჩათვალეს და შეუცვლელი დატოვეს, ხოლო, როდესაც თავიანთ მოსაზრებას წერდნენ, სწორი ფორმით გამოიყენეს. მაგ.: ***„საუძველი დაუდეს ნაყინის წარმოებას“***, ***„ეს იყო გურმანთა სუფთა გამარჯვება“, „მრავალი მიკრობი მოიტანეს, “ „ძაღლიც ცოცხალი ორგანიზმია“...*** ამის შემდეგ კოლეგებთან შეთანხმებით შეფასების კრიტერიუმებში შევიტანეთ ცვლილება: „იყენებს შესაბამის ლექსიკას“ და „მდიდარი ლექსიკური მარაგიდან“ ამოვიღეთ პირველი და დავუმატეთ ტერმინოლოგიის სიზუსტე.

ბოლოს დავგეგმეთ პოსტტექსტი, რომლითაც დავრწმუნდით განმავითარებელი შეფასების აუცილებლობაში. ამჯერად შევთანხმდით, რომ მოსწავლეებს დაეწერათ თავიანთი შთაბეჭდილება ნანახი სპექტაკლის (დამრიგებლებმა მოაწყვეს ერთობლივი დასწრება სპექტაკლზე „ჰელადოსი“) ან ფილმის შესახებ (ასევე ნახეს ქართული ფილმები „ექვთიმე“, „როცა აყვავდა ნუში“). მათ მივეცით თავისუფალი არჩევანი. ეს კი ნამდვილად ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ცოდნის განსაზღვრასა და მოტივაციის ამაღლებაში.

პოსტტესტის შედეგები:






VII კლასი
სწორად სვამს სასვენ ნიშნებს
იცავს გრამატიკულ ნორმებს
მდიდარი ლექსიკა
ამჟღავნებს შემოქმედებით უნარს
იყენებს შესაბამის ლექსიკას
აზრს ნათლად აყალიბებს
დავალლება ადეკვატურად გაიგო
28
15
8
30
16
12
34
24
18
32
26
20
36
33
28
36
30
26
38
34
30
პოსტესტი
II ტესტი
I ტესტი


VIII კლასი
სწორად სვამს სასვენ ნიშნებს
იცავს გრამატიკულ ნორმებს
იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას
ამჟღავნებს შემოქმედებით უნარს
იყენებს შესაბამის ლექსიკას
აზრს ნათლად აყალიბებს
დავალლება ადეკვატურად გაიგო
38
31
25
32
17
12
35
27
22
40
36
30
47
43
36
47
43
36
47
42
36
პოსტტესტი
II ტესტი
I ტესტი


IX კლასი
სწორად სვამს სასვენ ნიშნებს
37
17
12
იცავს გრამატიკულ ნორმებს
40
27
20
იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას
30
24
20
ამჟღავნებს შემოქმედებით უნარს
40
33
30
იყენებს შესაბამის ლექსიკას
43
33
28
აზრს ნათლად აყალიბებს
43
33
28
დავალლება ადეკვატურად გაიგო
44
38
32
პოსტტესტი
II ტესტი
I ტესტი


X კლასი
სწორად სვამს სასვენ ნიშნებს
30
27
16
იცავს გრამატიკულ ნორმებს
32
25
16
იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას
30
22
18
ამჟღავნებს შემოქმედებით უნარს
30
24
20
იყენებს შესაბამის ლექსიკას
36
30
28
აზრს ნათლად აყალიბებს
36
33
30
დავალლება ადეკვატურად გაიგო
36
33
30
პოსტტესტი
II ტესტი
I ტესტი



გადავწყვიტე, საერთო შედეგიც განმესაზღვრა, რომელიც ამჯერად ასე გამოიყურება:



VII თავი. რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები.

7.1. რეკომენდაციები

სწავლა-სწავლების ხარისხის ასამაღლებლად და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად:

- განმავითარებელი შეფასება გამოვიყენოთ თემატური ერთეულის შესწავლის დასრულებამდე გარკვეული სიხშირით მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.
- მოსწაავლეებს შევთავაზოთ სხვადასხვა ტიპის დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ საკუთარი ცოდნისა და უნარების გამომჟღავნებას.
- მოსწავლეები აქტიურად ჩავრთოთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმების შედგენაში, რათა გავუღვივოთ საკუთარი ცოდნის კონტროლის უნარი, განვუმტკიცოთ პასუხისმგებლობის გრძნობა, როგორც საკუთარის, ასევე თანატოლის ცოდნის შესაფასებლად.
- აუცილებელია, მშობელს დროულად მივაწოდოთ ინფორმაცია შვილის სწავლის შედეგების შესახებ და ეს ინფორმაცია აუცილებლად დავიწყოთ მოსწავლის მიღწევების აღიარებით. მშობლის ჩართვა აძლიერებს თანამშრომლობას მასწავლებელთან და ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლის საჭიროებებზე ზრუნვას უკეთესი შედეგების მისაღწევად.

7.2. კვლევის ნაკლოვანებები

ჩატარებული კვლევა მოიცავდა იმ მიზეზების დადგენას, რატომ არ ჰქონდათ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს კონკრეტული ინფორმაცია, რა ცოდნისათვის დაიმსახურა მოზარდმა განსაზღვრული შეფასება, რატომ არ იცვლებოდა ბავშვის შედეგები, მიუხედავად მისი მცდელობისა, რატომ ვერ იუმჯობესებს მოზარდი მიღწეულ შედეგს. გავაანალიზეთ ეს მიზეზები და დავსახეთ გამოსწორების გზები. ვთვლით, რომ კვლევამ ძირითად მიზანს მიაღწია. ინტერვენციების შეფასებამ დაგვანახა, რომ მოსწავლეთა შედეგები განმავითარებელი კომენტარებით, მართალია, მცირე პროცენტით, მაგრამ მაინც უკეთესობისაკენ შეიცვალა. მოსწავლეებს აუმაღლდათ მოტივაცია, გაიზარდა ჩართულობა და მოსწავლეებს აშკარად დაეტყოთ თვითეფექტურობის განცდა. თუმცა უმჯობესი იქნებოდა: კვლევის უფრო მეტი მეთოდის გამოყენება, მაგალითად:

ა) უკეთესი იქნებოდა ქართული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის მასწავლებლების გარდა კვლევაში ჩაგვერთო სხვა კათედრებიც.

ბ) ჩაგვეტარებინა ინტერნეტგამოკითხვა, რომელიც მიიქცევდა როგორც კოლეგების, ასევე მშობლების ყურადღებას და მეტ ინფორმაციასა და გამოცდილებას გავეცნობოდით.

VIII თავი. დასკვნა.

სკოლაში განხორციელდა პრაქტიკული კვლევა. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო განმავითარებელი შეფასების დანერგვა და ინტენსიურად გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. უნდა დაგვედგინა მოსწავლეთა დაბალი შედეგების მიზეზები, გაგვეანალიზებინა, რატომ არ იცვლებოდა მოსწავლეთა შედეგები უკეთესობისაკენ, რატომ არ ჰქონდათ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს კონკრეტული ინფორმაცია მოზარდის ცოდნის, მისი ძლიერი და სუსტი მხარის შესახებ. საჭირო იყო ამ პრობლემათა ანალიზი და მოსწავლეთა სედეგების გასაუმჯობესებლად განმავითარებელი შეფსების გამოყენება. როგორც ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო მოსწავლეებს არ ჰქონდათ გაცნობიერებული განმსაზღვრელი შეფასებით როგორი იყო მათი ცოდნის დონე და კიდევ რა სჭირდებოდათ უკეთესი შედეგების მისაღწევად, რა უნარებს ფლობდნენ და რამდენად იყვნენ მშობლები ინფორმირებული შვილის ცოდნის, მისი ძლიერი და სუსტი მხარის შესახებ, რა იცოდნენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების შესახებ. განხორციელებული ინტერვენციების შედეგად დავადგინეთ, როგორ მოქმედებს განმავითარებელი შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებაზე, როგორ იზრდება მოსწავლეთა მოტივაცია და საკუთარი თავის რწმენა, როგორ ზეგავლენას ახდენს მოსწავლეებზე განმავითარებელი შეფასება, თვითშეფასებასა და ერთმანეთის შეფასებაზე. განვსაზღვრეთ მოქნილი და ეფექტური სტრატეგიები და ინსტრუმენტები განმავითარებელი შეფასების საწარმოებლად, რაც მოსწავლეს და მასწავლებელს მიაღწევინებს ესგ-ით გათვალისწინებულ იმ მიზანს, რომელიც უმაღლესი ქულით ფასდება და მოსწავლეს გამოუმუშავებს პრაქტიკულ ცოდნას, რომლითაც შეძლებს საზოგადოებაში თვითდამკვიდრებას. დავგეგმეთ განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმი, რამაც შესაბამისობაში მოიყვანა მოსწავლეთა დავალებების შესრულების ხარისხი და მიღებული ქულები. საკითხების შესწავლისას დაიგეგმა დამოუკიდებელი სამუშაოები, რამაც ხელი შეუწყო კონკრეტული პრობლემების გამოვლენას საკითხის სწავლებისას, ვიდრე შევაჯამებდით და იქვე იგეგმებოდა მისი აღმოფხვრის გზები. დაიგეგმა და ჩატარდა სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი სამუშაოები, რამაც შესაძლებელი გახადა მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების შეფასება. საბოლოო

ჯამში ინტერვენციების შეფასებამ დამანახა, რომ აშკარად უდიდესი მნიშვნელობა აქვს განმავითარებელ შეფასებას, მართალია, ჩატარებული კვლევა არ გვაძლევს დამშვიდების საშუალებას, რადგან მაქსიმალლურ შედეგებამდე კიდევ ბევრი მუშაობა გვჭირდება და არც შედეგია გრანდიოზული ცვლილების გამომხატველი, მაგრამ აშკარად აიწია მოსწავლეთა აკადემიურმა შედეგმა. მომავალში აუცილებელია კვლევის შედეგების განზოგადება და მომდევნო კლასებშიც კვლევის შედეგად შექმნილი რეკომენდაციების გათვალისწინება. ასე რომ, სამუშაო უნდა გახდეს სისტემატური, რათა არც მოსწავლე, არც მასწავლებელი და არც მშობელი არ დაკმაყოფილდეს მიღწეულით, წარმატება მხოლოდ მოქმედებით მიიღწევა.

IX თავი. ბიბლიოგრაფია

1. *გიორგი ნოზაძე: „განმავითარებელი შეფასების განხორციელების სტრატეგიები და მეთოდები“ (***mastsavlebeli**.ge *13 დეკემბერი, 2013)*

2. *დიმიტრი უზნაძე „ფსიქოლოგია და პედაგოგიკა“*

3. *ლევ ვიგოტსკი „სოციო-კულტურული თეორია“*

4. *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის გზამკვლევი – I და II ნაწილი*

5. *მარიანა ხუბაყიშვილი „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“ - სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის (2018 წელი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი)*

6. *ჟან პიაჟე „შემეცნების განვითარების საფეხურები“*

7. *სოფო გორგოძე: „ეფექტური განმავითარებელი შეფასების შესახებ“ ინტერნეტგაზეთი „***mastsavlebeli**.ge*. “ 26 ოქტომბერი, 2016 წელი.*

8. *„სწავლება და შეფასება“ - დამხმარე სახელმძღვანელოს II ნაწილი (ავტორთა ჯგუფი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008 წ.).*

9. *2016-2018 და 2018-2024 წლის საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა.*

დანართები:

კითხვარი მშობლებისათვის:

ძვირფასო მშობელო! სწავლა სწავლების პროცესის საინტერესოდ და აქტიურად წარმართვისათვის სკოლას თქვენი თანადგომა სჭირდება. რომ არ დაგვზარდებით, ამაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული. ამისათვის გთხოვთ, შეავსოთ ჩვენ მიერ შემოთავაზებული კითხვარი. სამუშაო რომ გაგიადვილდეთ, გთავაზობთ რამდენიმე განმარტებას:

განმავითარებელი შეფასება - ეს არის მასწავლებლის სიტყვიერი თუ წერილობითი კომენტარი მოსწავლის მიერ შესრულებულ სამუშაოზე. კომენტარში აღწერილია, რა გააკეთა მოსწავლემ კარგად და რა სჭირდება სუსტი მხარეების დასაძლევად.

განმსაზღვრელი შეფასება - ეს არის, შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით მოსწავლის შეფასება შესაბამისი ქულით.

1. როგორ გებულობთ შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ?
   ა) კლასის დამრიგებელი გვიგზავნის ინფორმაციას.
   ბ) თავად მივდივარ სკოლაში და თითოეული მასწავლებლისაგან.
   გ) დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

2. თვლით თუ არა, რომ მოსწავლის შეფასება არის ობიექტური?
   ა) აბსოლუტურად ობიექტურია
   ბ) ნაწილობრივ
   გ) არ არის ობიექტური

3. რომელი შეფასებაა თქვენთვის მნიშვნელოვანი?
   ა) განმსაზღვრელი(მასწავლებელი წერს ქულას).
   ბ) განმავითარებელი(მასწავლებელი წერს კომენტარს სიტყვიერად მოსწავლის მოსწრების შესახებ)
   გ) უკეთესი იქნება თუ არ იქნება შეფასება.

4. როდესაც მოსწავლის განმსაზღვრელ შეფასებას გებულობთ, კონკრეტულად ღებულობთ ინფორმაციას თქვენი შვილის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ?
   ა) განმსაზღვრელი შეფასებებით ეს შეუძლებელია.
   ბ) ნაწილობრივ
   გ) აბსოლუტურად გასაგებია

5. როდესაც მოსწავლის განმავითარებელ შეფასებას გებულობთ, კონკრეტულად ღებულობთ ინფორმაციას თქვენი შვილის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ?
   ა) განმავითარებელი შეფასებებით ეს შეუძლებელია.
   ბ) ნაწილობრივ
   გ) განმავითარებელი შეფასებებით ეს აბსოლუტურად გასაგებია

6. თქვენი აზრით, რამდენად ხშირად უნდა ფასდებოდნენ მოსწავლეები განმსაზღვრელი შეფასებით?
   ა) ყოველ დღე. ბ) კვირაში ერთხელ. გ) განმსაზღვრელ შეფასებას მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

7. თქვენი აზრით, რამდენად ხშირად უნდა ფასდებოდნენ მოსწავლეები განმავითარებელი შეფასებით?
   ა) ყოველ დღე. ბ) კვირაში ერთხელ. გ) განმავითარებელ შეფასებას მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

8. თქვენი აზრით, განმავითარებელი შეფასება მოსწავლეებს:
   ა) ყველაზე მეტად ეხმარება სუსტი მხარეების დაძლევაში.
   ბ) ნაწილობრივ ეხმარება
   გ) არ ეხმარება სუსტი მხარეების დაძლევაში.

9. განმავითარებელი შეფასება მშობელსა და მასწავლებელს
   ა) ხელს უწყობს თანამშრომლობაში, რათა ერთად იზრუნონ მოზარდის ძლიერი მხარეების გამომჟღავნებასა და სუსტი მხარეების გამოსწორებაში.
   ბ) ნაწილობრივ ეხმარება რათა ერთად იზრუნონ მოზარდის ძლიერი მხარეების გამომჟღავნებასა და სუსტი მხარეების გამოსწორებაში.
   გ) მათ ურთიერთობაში არაფერი იცვლება, რჩება დისტანციური დამოკიდებულება.

10. მოსწავლის შემოქმედებითი, დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში განმავითარებელი შეფასება
    ა) უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, ვიდრე ქულების დაწერა
    ბ) ნაწილობრივ მნიშვნელოვანია
    გ) არ არის მნიშვნელოვანი

კითხვარი მოსწავლეებისთვის

კითხვარი მოსწავლეებისათვის:

1. თვლით თუ არა, რომ თქვენი აკადემიური მოსწრების შეფასება ობიექტურია?
   ა) დიახ, ობიექტურია. ბ) ნაწილობრივ. გ) არაობიექტურია.

2. მონაწილეობთ თუ არა შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში?
   ა) ვმონაწილეობ მასწავლებელთან ერთად.
   ბ) საერთოდ არ ვმონაწილეობ, რადგან მასწავლებელი თავად ადგენს შეფასების კრიტერიუმებს.
   გ) მოსწავლეები თავად ვადგენთ შეფასების კრიტერიუმებს.

3. რომელი შეფასებაა თქვენთვის უფრო მისაღები?
   ა) განმსაზღვრელი(იწერება ქულა).

ბ) განმავითარებელი(იწერება კონკრეტულად რა გავიგე და რა უნდა გამოვასწორო).

გ) საერთოდ არ არის საჭირო არანაირი შეფასება.

4. თქვენი ნება რომ იყოს, რომელ შეფასებას დანერგავდით?

ა) მხოლოდ განმსაზღვრელს(ქულით).

ბ) განმავითარებებლს(კომენტარებით)

გ) შეგიძლიათ დაწეროთ საკუთარი მოსაზრება …….....

5. თქვენი აზრით, რა უპირატესობა აქვს განმავითარებელ შეფასებას?

ა) მოსწავლემ კონკრეტულად იცის, რა გამოასწოროს.

ბ) მოსწავლეებს შურის საბაბს არ აძლევს.

გ) დაცულია მოსწავლის პირადი ინფორმაცია.

6. თქვენი აზრით, რა უპირატესობა აქვს განმსაზღვრელ შეფასებას?

ა) მოსწავლეს მოტივაციას უმაღლებს.

ბ) ამაღლებს მოსწავლის ცოდნის დონეს.

გ) აღვივებს სწავლის ხალისს.

7. ეთანხმებით თუ არა, რომ მშობელმა იცოდეს თქვენი შეფასების, როგორც განმსაზღვრელის, ასევე განმავითერებლის შესახებ?

ა) ვეთანხმები. ბ) ნაწილობრივ უნდა იცოდეს. გ) არ ვეთანხმები.

8. თქვენი აზრით, რომელი შეფასებით გაიგებს მეტ ინფორმაციას თქვენი მშობელი?

ა) ქულებით. ბ) განმავითარებელი კომენტარებით. გ) მასწავლებელთან ხშირი კონტაქტით.

9. რამდენად ხშირად უნდა იყენებდეს მასწავლებელი განმსაზღვრელ შეფასებას?

ა) ყოველდღე. ბ) კვირაში ერთხელ. გ) თვეში 2-ჯერ.

10. რამდენად ხშირად უნდა იყენებდეს მასწავლებელი განმსაზღვრელ შეფასებას?

ა) ყოველდღე ბ) კვირაში ერთხელ. გ) თვეში 2-ჯერ.

ტესტირების დროს გამოყენებული ტექსტები:
ინსტრუქცია: წაიკითხეთ ტექსტი, გაასწორეთ მასში დაშვებული გრამატიკული, სტილისტიკური შეცდომები, დასვით სასვენი ნიშნები და ტექსტი გადაიწერეთ სწორი ფორმით.
ამის შემდეგ გააანალიზეთ ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- *იმსჯელეთ, რით იყო მნიშვნელოვანი ტექსტი.*
- *იმსჯელეთ, რა შემატა თქვენს ცოდნას.*
- *იმსჯელეთ, რაში გამოიყენებთ ამ ცოდნას.*

წითლად აღნიშნულია, თუ რა შეცდომები უნდა აღმოეჩინათ ბავშვებს.

V - VI კლასებისათვის: საწერი საშუალებები ძველად

ადრე წერდენ ცვილის დაფაზე, ლითონსა და თიხის ფირფიტაზე. შემდეგ გაჩნდა შედარებით რბილი საგნები: ტყავი, ჭილი. საწერ იარაღათ ამოსაკაწრ ნივთებს ვეღარ იყენებდნენ, ამიტომ ამ საქმისათვის ლერწამის კალამი გამოჩარხეს. ძველათ საწერ ნივთებს „საწერელი“ ერქვა. კალამს ლერწმიდან ამზადებდნენ. ბატის ფრთა, როგორც საწერი საშუალება, ევროპაში V საუკუნიდან ჩნდება, მაგრამ საქართველოში XVII-ე საუკუნეზე ადრე არ ჩანს. ირანში, ინდოეთში, ჩინეთში საწერ იარაღათ ლერწამის კალამს ირჩევდნენ. ბატის ფრთით წერა მიღებული არ იყო. ფოლადის კალამი ჩვენთან მე-18-ე საუკუნიდან გამოიყენება. ფაქტია, რომ ადამიანებს გული არ გაუტეხიათ, არც მიღწეულით დაკმაყოფილებულან და საწერ საშუალებების დღემდე ხვეწენ.

VII - VIII კლასებისთვის: დმანისი

თანამედროვე დმანისის ახლოს იმყოფება ამავე სახელწოდების ისტორიული ქალაქის ნანგრევები. ქვემო ქართლის ეს ტერიტორია ყველაზე უძველესი დროიდან ქრისტიანულ კულტურის ძლიერი ცენტრი იყო. VI-VIII საუკუნებში აქ საეპისკოპოსო კათედრალი ყოფილა. განსაკუთრებული მდებარეობის გამო დმანის მნიშვნელობა სულ უფრო უდიდდებოდა. IX საუკუნის ისტორიულ წყაროებში იგი უკვე ქალაქათ იხსენიება. არაბობის დროს აქ ცოტა ხანით ამირაც კი მჯდარა. დავით აღმაშენებელმა, რომელმაც დიდგორის ომში სძლია მტერს, თბილისის შემდეგ დმანისიც გაანთავისუფლა. დმანისსა და მისი მიმდებარე ტერიტორიებს ბევრჯერ დაცემია მტერი. საუკუნეების განმავლობაში ქალაქს მრავალი გასაჭირი უნახია, მაგრამ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იგი თემურლენგის შემოსევების დროს აღმოჩნდა. მოგვიანებით მას არც ოსმალოთა და სპარსელთა რბევა მოკლებია. მე-XVIII საუკუნის ბოლოს დმანისის ეკონომიკა მთლიანად მოიშალა, ქალაქი სულ გაპარტახდა და გაუკაცრიელდა. მოსახლეობამ ის ტერიტორია სრულყოფილად დასტოვა. ქალაქი მოგვიანებით ნანგრევებად იქცა.

IX – X კლასებისთვის: სამშვილდე

სამშვილდე ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ისტორიული ქალაქია საქართველოში. იგი იმყოფებოდა ისტორიულ ქვემო ქართლში, ახლანდელი სამშვილდის მახლობლად. მისი თავდაპირველი სახელწოდებაა „ციხე ორბისა", თუმცა ის, როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, ზოგჯერ აგრეთვე „დედაციხედაც" მოიხსენიებდნენ. მის მშენებლობას საფუძველი დაედო ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში და მალე გამოჩენილი ქალაქი გამხდარა. იგი რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში ისტორიულ ქვემო ქართლის საიმედო სიმაგრეს წარმოადგენდა. ჩვენ წინაპრებს სამშვილდე ორ მდინარეს შორის მოქცეულ კონცხზე გაუშენებია. ეს ადგილი სამი მხრიდან ძნელად მისადგომი იყო, მეოთხიდან კი გამაგრება ჭირდებოდა. ამ მიზნით ციხე ხუთმეტრიანი კედლით ჩაუკეტიათ, რომელსაც სამშვილდე უწოდეს. ქალაქის ბედი ხშირად ამ კედელთან წყდებოდა ხოლმე იმისათვის, რომ მტრების პირველი დარტყმა სწორედ მასზე მოდიოდა. მართალია, ქალაქი მომხდურთა ხელშიც აღმოჩენილა, მაგრამ კედელს ამის კვალიც არ დატყობია. როგორც ჩანს, სამშვილდეში შეღწევა სხვა გზით ხორციელდებოდა. მტრის შემოსევების გამო ქალაქი თან და თან სუსტდებოდა თუმცა ქართლის მნიშვნელოვან სიმაგრეთ მაინც რჩებოდა. დღეისათვის სამშვილდე მხოლოდ ნანგრევების სახითაა შემორჩენილი.

XI კლასისთვის: ნაყინი

ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, ნაყინი რომ არ უყვარდეს. ვერავინ უგულებელჰყოფს, რომ მისი არსებობა უძველესი დროისგან იღებს სათავეს. ისტორიკოსების აზრით, ნაყინი ხუთიათას წელზე მეტია, რაც არსებობს. 3000 წლის წინ დესერტი ჩინეთში სუფრას ამშვენებდა, რომელიც დღევანდელ ნაყინს ძლიან გავდა. ყინულს ურევდნენ ბროწეულის, ფორთოხლისა და ლიმნის ნაჭრებს და ეს იყო პირველი ნაყინი. ისიც ცნობილია, ალექსანდრე მაკედონელს ნაყინით რომ გაუმასპინძლდენ ინდოეთში და ძლევამოსილ სპარსეთში ლაშქრობისას.

ხორციელდებოდა ყინულისათვის სპეციალური სარდაფების მშენებლობა. მოგზაური ნასრი ხოზრაუმის ჩანაწერებში აღწერილია, რომ 1040 წელს კაიროს სულთანის სუფრაზე სირიის მთიანი რეგიონებიდან მოქონდათ თოვლი ნაყინის დასამზადებლათ. მე-XVIII-ე საუკუნის დასასრულს ძველ რუსეთში წვრილად დაჭრილი გაყინული რძე ამშვენებდა სუფრას , რომელიც ნაყინათ მიაჩნდათ.

ზოგიერთი ვერსიის თანახმად, ევროპაში ნაყინის შემოტანა მოხდა მარკო პოლოს მიერ მე-16-ე საუკუნეში. თანამედროვე ნაყინთან მიახლოებული დესერტი დამზადებული იქნა სიცილიაზე, ხოლო შოკოლადისა და სხვადასხავა პროდუქტების დამატებით — საფრანგეთში. ეს იყო გურმანთა სუფთა გამარჯვება.

რეფლექსია

2019 წლის 18 ივნისს გაიმართა სსიპ ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის პედაგოგთა შეხვედრა. შეხვედრის მიზანი იყო 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებელთა მიერ ჩატარებული პედაგოგიური პრაქტიკისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების კვლევათა გაზიარება. ჩემი კვლევა ეხებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებებს, თემა სათაურით: „განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა

მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისა და შედეგების გასაუმჯობესებლად".სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ესწრებოდნენ შეხვედრას, რომელიც ჩატარდა სკოლის სამასწავლებლოში.

კვლევის ყველა პუნქტი, მიზანი, მიგნებები, ძირითადი კითხვები, მეთოდები, ინტერვენციები, ინტერვენციების შეფასება, დასკვნა და გამოკითხვის შედეგები წარვადგინე PowerPoint-ის საპრეზენტაციო ფორმატში. სხდომის მსვლელობისას მსმენელებს საშუალება ჰქონდათ, დაესვათ კითხვები, გამოეთქვათ თავიანთი შეხედულებები და დაეზუსტებინათ მათთვის საინტერესო საკითხები. ასევე შემომთავაზეს თავიანთი მოსაზრება იმ აქტივობებზე, რომლებიც შესაბამისი იქნებოდა წარმოდგენილი სურათის კიდევ უფრო სრულყოფისათვის. კვლევა საინტერესო გამოდგა სხვა საგნის მასწავლებლებისათვისაც, რადგან განმავითარებელი შეფასება სწავლების ნებისმიერ საფეხურზე და ნებისმიერ საგანში უმნიშვნელოვანესია. როდესაც განმსაზღვრელი შეფასება იწყება (მე-5 კლასის მე-2 სემესტრიდან), მოსწავლეთა და მშობელთა ყურადღება გადადის ქულებზე, განმავითარებელი შეფასების სიხშირე, მოსწავლეების აქტიურობა და აკადემიური მოსწრებაც თანდათან იკლებს. ამასთანავე მოსწავლე და მშობელი არ ფლობენ კონკრეტულ ინფორმაციას განმსაზღვრელი შეფასების შედეგად მოზარდის ცოდნისა და უნარების შესახებ. შედეგების დინამიკა ხშირ შემთხვევაში არ იცვლება. ამიტომ მიზნად დავისახე, გამომეკვლია არსებული პრობლემის გამომწვევი მიზეზები. დავიწყე დღიურის წარმოება, რა თანმიმდევრობით უნდა მეკვლია განმავითარებელი შეფასების როლი მოზარდის შედეგების გასაუმჯობესებლად. ვხვდებოდი კოლეგებს, კვლევაში ჩავრთე არა მარტო მოსწავლეები და კოლეგები, არამედ მშობლებიც. გზადაგზა ჩატარებულმა ტესტირებებმა და კოლეგებთან შეხვედრებმა მობილიზებული გახადა სამივე მხარე: მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი. ცხადი გახდა შედეგების გაუმჯობესება, მართალია, ეს არ იყო გრანდიოზული შედეგი და მოსწავლეთა შედეგების 100%-ით გაუმჯობესება, მაგრამ დიაგრამებითაც აისახა უკეთესი შედეგი. მშობლებიც აღიარებდნენ, რომ განმავითარებელი შეფასების შედეგად უფრო კონკრეტულად განსაზღვრეს თავიანთი შვილების ძლიერი და სუსტი მხარე და საჭიროებები.

შეხვედრაზე კოლეგებმა გამოთქვეს საინტერესო მოსაზრებები: განმავითარებელი შეფასება აუცილებელია გარკვეული სიხშირით ეძლეოდეთ მოსწავლეებს ნებისმიერ საგანში. სიტყვიერი კომუნიკაციით ხდება მოსწავლეების თანამშრომლობითი უნარების განვითარება. კოლეგებმა მოისმინეს ჩემ მიერ წარმოდგენილი მეთოდები და ინტერვენციები, შეთავაზებული სტრატეგიები და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების შესახებ და მორჩიეს, რომ უკეთესი იქნებოდა კვლევაში ასახულიყო მოსწავლეთა დამოკიდებულება განმავითარებელი შეფასების შემდეგ განმსაზღვრელი შეფასების გაუმ,ჯობესება რომ დაინახეს.

კოლეგების შენიშვნებსა და რეკომენდაციებს გავითვალისწინებ მოსწავლეთა შედეგების კიდევ უფრო ასამაღლებლად.

სსიპ ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ლელა გაბისონია

18 ივნისი, 2019 წელი.